პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 100 (9876) | ოთხშაბათი, 28 აპრილი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

საბჭოთა ხალხის დიადი შთამაგონებელი და ხელმძღვანელი ძალა

ახლოვდება პირველი მაისი — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე, ყველა ქვეყნის მუშათა ძმობის დღე. საბჭოთა ქვეყანა ამ დღესასწაულს ხვდება ძალღონით სავსე, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის ზრდისა და განმტკიცების ვითარებაში.

საბჭოთა ხალხი კანონიერად ამაყობს იმით, რომ მან კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით კაცობრობის ისტორიაში პირველად მოახდინა კაპიტალისტური წყობილების ლიკვიდაცია და ააგო სოციალისტური საზოგადოების ნათელი შენობა. კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც რევოლუციის გენიოსმა ვ. ი. ლენინმა შექმნა და გამოკვდა, მშრომელთა უსაზღვრო სიყვარული და ნდობა მოიპოვა. კომუნისტური პარტია არ იშურებდა ძალებს, რათა განეხორციელებინა თავისი დიადი მიზანი. გამოკვდა რა მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის კავშირი, პარტიამ 1917 წლის ოქტომბერში დაამხო კაპიტალისტები და მემამულეები, მიიყვანა ხალხი დიდი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე, რომელიც ნიშნავდა ძირეულ შემობრუნებას ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, მთელი მსოფლიოს ხალხთა ბედში.

მას შემდეგ, რაც მუშათა კლასმა მშრომელ გლეხობასთან კავშირით ხელში აიღო ძალაუფლება, კომუნისტურ პარტიას, როგორც ხალხის დიად ხელმძღვანელ ძალას, დაეკისრა სირთულით და სიძნელით, მასშტაბითა და სიღრმით უმაგალითო გრანდიოზული ამოცანები. სძლევდა რა კაპიტალისტური გარემოცვისა და შინაური კონტრრევოლუციის გააფთრებულ იერიშებს, ყველა ჯურის გამცემლების, კაპიტულანტებისა და ოპორტუნისტების წინააღმდეგ გააფთრებულ ბრძოლაში, პარტიამ ხალხი მიიყვანა სოციალიზმის გამარჯვებამდე. ოცნებიდან, როგორც იგი საუკუნეთა მანძილზე იყო, მეცნიერული წინასწარმეტყველებიდან, როგორადაც იგი მარქსმა და ენგელსმა გადააქციეს, სოციალიზმი ჩვენს ქვეყანაში გახდა სინამდვილე, რეალობა, მასების ცოცხალი ცხოვრება.

საბჭოთა ხალხის დიდმა სამამულო ომმა ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ თვალნათლივ გვიჩვენა საბჭოთა წყობილების ძლიერება, უძლეველი ძალა, იმ სოციალურ-ეკონომიურ გარდაქმნათა სიღრმე და მნიშვნელობა, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში განხორციელდა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

ომისშემდგომი პერიოდი აღინიშნა საბჭოთა ხალხის ახალი შესანიშნავი წარმატებებით, რომლებიც მოპოვებულია კომუნისტური პარტიის წინამძღოლობით. ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა თავიანთ სწრაფ და შეუფერხებელ წინსვლაში შორს მოიტოვეს უკან ის ეკონომიური ზღუდეები, რომლებზეც ომმა მისი მშვიდობიანი შრომა შეწყვიტა. უკვე 1953 წელს სსრ კავშირის სამრეწველო წარმოების მოცულობამ 2,5-ჯერ გადააჭარბა ომამდელი 1940 წლის დონეს.

კომუნისტური პარტია საბჭოთა ხალხის აღმაფრთოვანებელი, ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალაა კომუნიზმისათვის ბრძოლაში. პარტია, რომელიც შეიარაღებულია მარქსიზმ-ულ-ლენინური თეორიით, მრავალი წლის მანძილზე გამომუშავებული პოლიტიკით, უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების შემდგომ მძლავრ განვითარებას, სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განუწყვეტელ ზრდას, შრომის ნაყოფიერების როგორც კომუნიზმში გადასვლის უმნიშვნელოვანესი პირობის ყოველი ღონისძიებით გადიდებას, ხალხის მასების კეთილდღეობის განუხრელ გაუმჯობესებას. პარტია ამჟამად მთელი სიმტკიცითა და ენერგიით წყვეტს თანამედროვე პირობებში ყველაზე არსებით საყოველთაო-სახალხო ამოცანას — სოციალისტური ინდუსტრიის მძლავრი ზრდის ბაზაზე განახორციელოს სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობა, უახლოეს 2-3 წელიწადში მთლიანად დააკმაყოფილოს მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილება სურსათზე და მსუბუქი მრეწველობის მოთხოვნილება ნედლეულზე.

საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობა, საბჭოთა ხალხის აყვავება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მთელი მოღვაწეობის უმაღლესი მიზანია. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების ისტორიულ დადგენილებებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობის შესახებ, პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებში მხუბუქი და კვების მრეწველობის დაჩქარებული განვითარების შესახებ მოცემულია მთლიანი პროგრამა, რომლის განხორციელება შესაძლებელს გახდის მკვეთრად გავადიდოთ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება.

პარტიის პოლიტიკა გამოხატავს ხალხთა მასების საარსებო ინტერესებს, კომუნიზმის აშენებისა და სოციალისტურ მონაპოვართა დაცვის მთავარი იარაღის — მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს შემდგომი განმტკიცების ინტერესებს, ხელს უწყობს მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირის და სსრ კავშირის ხალხთა დიადი მეგობრობის — საბჭოთა წყობილების ამ ურყევი საფუძვლის შემდგომ განმტკიცებას.

ერთსულოვნად იწონებენ რა პოლიტიკას, რომელიც შეიმუშავეს კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ, მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, საბჭოთა ინტელიგენცია სულ უფრო ფართოდ აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას სახალხო-სამეურნეო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

პარტიის, მთავრობისა და ხალხის ურღვევი ერთიანობის მკაფიო დემონსტრაციაა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ახლანდელი სესია, რომელიც განიხილავს საბჭოთა ქვეყნის განვითარების უმნიშვნელოვანეს ამოცანებს.

სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ დამტკიცა, ასახავს კომუნისტური პარტიის პოლიტიკას, რომლის მიზანია საბჭოთა ეკონომიკისა და ხალხის კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობა, ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უზრუნველყოფა და ჩვენი სამშობლოს ძლიერების განმტკიცება. სახელმწიფო ბიუჯეტი საჭირო სახსრებით უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის ყველა დარგს, რომლის განვითარების ტემპიც, ისევე როგორც წარსულ წლებში, მაღალ დონეზეა.

პარტიის პოლიტიკა რომ წარმატებით განვახორციელოთ, უფრო სრულად რომ გამოვიყენოთ სოციალისტური მეურნეობის შესაძლებლობანი, საჭიროა კვლავაც მოვახმაროთ მშრომელთა ღონისძიებანი სახალხო-სამეურნეო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას, განვავითაროთ მასებში პოლიტიკური და საწარმოო აქტივობა, მტკიცედ და გადაჭრით აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი, ყოველი ღონისძიებით გავაუჯობესოთ ხელმძღვანელობის სტილი და მეთოდები. საჭიროა გავაუმჯობესოთ სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოების, სახელმწიფო აპარატის ყველა რგოლის მუშაობა, განუხრელად განვახორციელოთ პრინციპები, რომლებიც დიდ ლენინს მიაჩნდა საბჭოთა სახელმწიფო აპარატის საფუძვლად — კავშირი ხალხის ფართო მასებთან, ეკონომიურობა, შემოქმედებითი ინიციატივის წახალისება, ბრძოლა ბიუროკრატიზმის ყოველი სახეობისა და გამოვლინების წინააღმდეგ.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ საკითხს, რომ სეროზულად გავაძლიეროთ სახელმწიფო და სამეურნეო აპარატის თვითეული მუშაკის პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის, გავუძლიეროთ ყველა მუშაკს პარტიისა და სახელმწიფოს წინაშე მოვალეობის გრძნობა. ჩვენი პარტია მტკიცედ იბრძვის ჩამორჩენილობისა და თავმინებებულობის წინააღმდეგ, რომელებსაც ვხვდებით სამეურნეო მშენებლობის მთელ რიგ უბნებზე. შეუწყნარებელია, რომ თავისი მოვალეობისადმი ცალკეულ მუშაკთა უპასუხისმგებლო და ბიუროკრატული დამოკიდებულების გამო ზიანი მოსდიოდეს ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების საქმეს.

საბჭოთა ხალხი პირველი მაისის დღესასწაულს მიმდინარე წელს ეგებება საერთაშორისო დაძაბულობის ერთგვარი შენელების პირობებში, შენელებისა, რომელიც იმპერიალისტური წრეების აგრესიული კურსის წინააღმდეგ მშვიდობისმოყვარე ძალების აქტიური ბრძოლის შედეგია. იზრდება და მტკიცდება მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მძლავრი ბანაკი, რომელსაც საბჭოთა კავშირი მეთაურობს.

საბჭოთა სახელმწიფო განუხრელად იცავს მშვიდობის საქმეს, ახორციელებს თანმიმდევრულ და მტკიცე მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მთელ თავის ძალებს ახმარს და კვლავაც მოახმარს მშვიდობისათვის, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის შემდგომი განმტკიცებისათვის ბრძოლას, დიდ ჩინელ ხალხთან, ევროპისა და აზიის სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელებთან საბჭოთა ხალხის მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებისათვის, ყველა ქვეყანასთან საბჭოთა კავშირის ეკონომიური კავშირის ყოველი ღონისძიებით განვითარებისა და მეგობრული ურთიერთობის დამყარებისათვის ბრძოლას.

ამასთანავე საბჭოთა სახელმწიფო, ითვალისწინებს რა რეაქციული იმპერიალისტური წრეების მისწრაფებას — გაამწვავონ და გააძლიერონ საერთაშორისო დაძაბულობა, დაუცხრომლად სრულყოფს და განამტკიცებს თავის სახელოვან შეიარაღებულ ძალებს, მუდამ ზრუნავს ჩვენი ქვეყნის თავდაცვის განმტკიცებისათვის. საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს აქვთ და კვლავაც ექნებათ ყველაფერი, რაც საჭიროა იმისათვის, რომ შეასრულონ თავიანთი კეთილშობილური მისია — იდგნენ სამშობლოს დაცვის სადარაჯოზე და მუდამ მზად იყვნენ გამანადგურებელი პასუხი გასცენ აგრესორს, რომელიც გაბედავს დაარღვიოს ჩვენი ქვეყნის ხალხთა მშვიდობიანი შრომა.

ყველა ხედავს, თუ რა დიდი და ცხოველმყოფელი ძალები მოეპოვება ჩვენს ქვეყანას. საბჭოთა სოციალისტური წყობილების უპირატესობაზე დაყრდნობით, მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე მოძღვრებით შეიარაღებული კომუნისტური პარტია მტკიცე რწმენით მიუძღვის ჩვენს ქვეყანას აყვავების გზით, კომუნიზმის გზით.

კომუნისტური პარტიის გარშემო მჭიდროდ დარაზმული საბჭოთა ხალხი აცხადებს:

— გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხის დიდ შთამაგონებელ და ხელმძღვანელ ძალას კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში!

— მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

„პრავდის“ 27-IV მოწინავე.

დაიწყო ჩაის მწვანე ფოთლის შერჩევითი კრეფა

ბათუმი, 27 აპრილი (საქდესი). აჭარის სუბტროპიკულ რაიონებში დაიწყო ჩაის მწვანე ფოთლის შერჩევითი კრეფა. 26 აპრილს პლანტაციებში პირველნი გავიდნენ ბათუმის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მკრეფავები.

მოწინავე მკრეფავებმა ფ. სალაძემ, ვ. პართენაძემ, ს. თევზაძემ და ნ. ვარშანიძემ რამდენიმე საათში მოკრიფეს თვითეულმა 20-25 კილოგრამი მწვანე ჩაის ფოთოლი და ამით გადაჭარბეს შერჩევითი კრეფისათვის დაწესებულ ნორმებს. მთელი მოკრეფილი ფოთოლი მიეკუთვნა პირველ ხარისხს.

საღამოს ბათუმის ჩაის ფაბრიკაში გადასამუშავებლად შემოვიდა ახალი მოსავლის ჩაის მწვანე ფოთლის პირველი ასობით კილოგრამი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომები

საინფორმაციო ცნობა

კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს 1954 წლის 27 აპრილის გაერთიანებული სხდომის შესახებ

27 აპრილს, დღის 12 საათზე, კრემლში, კრემლის დიდ სასახლეში, გაიხსნა კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო იწყებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის არჩევას.

წინადადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობის შესახებ, რომელიც მოიწონა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, შეიტანა დეპუტატმა **ა. მ. პუზანოვმა.**

სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ ერთხმად აირჩია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

შემდეგ სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ დაიწყო სსრ კავშირის მთავრობის — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შედგენა. თავმჯდომარემ დეპუტატმა **ვ. ტ. ლაცისმა** წაიკითხა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. **გ. მ. მალენკოვის** წინადადება სსრ კავშირის მთავრობის — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობის შესახებ, რომელიც მოიწონა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა.

სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ ერთხმად დაამტკიცა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობა.

დღის წესრიგი ამოწურულია. თავმჯდომარე აცხადებს, რომ სსრ კავშირის მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია დამთავრებულია.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის არჩევის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით:

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ვოროშილოვი კლიმენტ ეფრემის-ძე — დეპუტატი კიროვის ოლქისაგან, ქ. ლენინგრადი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები

ტარასოვი მიხეილ პეტრეს-ძე — დეპუტატი უფის ოლქისაგან, რუსეთის სფსრ.

კოროტჩენკო დემიან სერგის-ძე — დეპუტატი დნეპროპეტროვსკის ოლქისაგან, უკრაინის სსრ.

კოზლოვი ვასილ ივანეს-ძე—დეპუტატი სლუცკის ოლქისაგან, ბელორუსიის სსრ.

რაშიდოვი შარაფ რაშიდის-ძე — დეპუტატი სამარყანდის სასოფლო ოლქისაგან, უზბეკეთის სსრ.

უნდასინოვი ნურთას დანდიბაის-ძე—დეპუტატი პეტროპავლოვსკის სასოფლო ოლქისაგან, ყაზახეთის სსრ.

ჩუბინიძე მირონ დიმიტრის-ძე — დეპუტატი თბილისის 26 კომისრის ოლქისაგან, საქართველოს სსრ.

იბრაგიმოვი მირზა აყდარ ოღლი—დეპუტატი ნუხის ოლქისაგან, აზერბაიჯანის სსრ.

პალეცკისი იუსტას იგნის-ძე—დეპუტატი იონიშკის ოლქისაგან, ლიტვის სსრ.

კოდიცა ივანე სერგის-ძე—დეპუტატი ედინეცის ოლქისაგან, მოლდავეთის სსრ.

ოზოლინი კარლ მარტინის-ძე—დეპუტატი ეკაბპილსის ოლქისაგან, ლატვიის სსრ.

კულატოვი ტურაბაი — დეპუტატი პრკევალსკის ოლქისაგან, ყირგიზეთის სსრ.

დოდხუდოევი ნაზარშო — დეპუტატი კოკტაშის ოლქისაგან, ტაჯიკეთის სსრ.

არუშანიანი შმავონ მინასის-ძე—დეპუტატი ერევნის მოლოტოვის ოლქისაგან, სომხეთის სსრ.

სარიევი აკმამედ — დეპუტატი კაგანოვიჩის ოლქისაგან, თურქმენეთის სსრ.

იაკობსონი აუგუსტ მიხელის-ძე—დეპუტატი ხააპსალუს ოლქისაგან, ესტონეთის სსრ.

კუუსინენი ოტო ვილჰელმის-ძე — დეპუტატი კურკიოკის ოლქისაგან, კარელია-ფინეთის სსრ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

პეგოვი ნიკოლოზ მიხეილის-ძე—დეპუტატი მოლოტოვის ოლქის კუნგურის საარჩევნო ოლქისაგან, რუსეთის სფსრ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები

ანდრეევი ანდრია ანდრიას-ძე — დეპუტატი ტულა-რიაზანის ოლქისაგან, რუსეთის სფსრ.

არხიპოვი ტაისია ივანეს ასული—დეპუტატი კურსკის ოლქის დმიტრიევის საარჩევნო ოლქისაგან, რუსეთის სფსრ.

ბალაკინა ბარბარე სიმონის ასული — დეპუტატი პეტროგრადის ოლქისაგან, ქალაქი ლენინგრადი.

ბოიანოვა ვერა რინჩინის ასული — დეპუტატი ბარგუზინის ოლქისაგან, ბურიატ-მონღოლეთის ასსრ.

ბუდიონი სიმონ მიხეილის-ძე — დეპუტატი ხმელნიცკის ოლქის შეპეტოვკის საარჩევნო ოლქისაგან, უკრაინის სსრ.

დანიალოვი აბდურაჰმან დანიალის-ძე—დეპუტატი მახაჩკალის ოლქისაგან, დაღისტნის ასსრ.

კაპიტონოვი ივანე ვასილის-ძე—დეპუტატი კრასნაია პრესნიას ოლქისაგან, ქალაქი მოსკოვი.

კირიჩენკო ალექსი ილარიონის-ძე — დეპუტატი კიევის ოლქის კიევის ლენინის საარჩევნო ოლქისაგან, უკრაინის სსრ.

კოზლოვი ფროლ რომანის-ძე—დეპუტატი სმოლნის ოლქისაგან, ქალაქი ლენინგრადი.

მურატოვი ზინიატ იბეტის-ძე — დეპუტატი ყაზანის სასოფლო ოლქისაგან, თათრეთის ასსრ.

ნურიევი ზია ნურის-ძე—დეპუტატი მელეუზის ოლქისაგან, ბაშკირეთის ასსრ.

პანკრატოვა ანა მიხეილის ასული—დეპუტატი გომელის საქალაქო ოლქისაგან, ბელორუსიის სსრ.

პონომარენკო პანტელეიმონ კონდრატეს-ძე—დეპუტატი ალმა-ატის საქალაქო ოლქისაგან, ყაზახეთის სსრ.

ხრუშჩოვი ნიკიტა სერგის-ძე—დეპუტატი კალინინის ოლქისაგან, ქალაქი მოსკოვი.

შვერნიკი ნიკოლოზ მიხეილის-ძე—დეპუტატი სვერდლოვსკის ოლქისაგან, რუსეთის სფსრ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1954 წ. 27 აპრილი.

სსრ კავშირის მთავრობის—სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შექმნის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

შეიქმნას სსრ კავშირის მთავრობა—სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე — **მალენკოვი** გიორგი მაქსიმილიანეს-ძე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი—**მოლოტოვი** ვიაჩესლავ მიხეილის-ძე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი—საბჭოთა კავშირის მარშალი **ბულგანინი** ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე — **კაგანოვიჩი** ლაზარე მოსეს-ძე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და სსრ კავშირის ვაჭრობის მინისტრი — **მიკოიანი** ანასტას ივანეს-ძე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე — **საბაროვი** მაქსიმე ზაქარიას-ძე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე — **პერვუხინი** მიხეილ გიორგის-ძე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე—**თევოსიანი** ივანე თევდორეს-ძე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და სსრ კავშირის საშუალო მანქანათმშენებლობის მინისტრი — **მალიშევი** ვიაჩესლავ ალექსანდრეს-ძე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე — **კოსიგინი** ალექსი ნიკოლოზის-ძე.

სსრ კავშირის საავიაციო მრეწველობის მინისტრი — **დემენტიევი** პეტრე ვასილის-ძე.

სსრ კავშირის საავტომობილო, სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის მინისტრი — **აკოფოვი** სტეფანე აკოფის-ძე.

სსრ კავშირის საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების მინისტრი—**ლიხაჩოვი** ივანე ალექსის-ძე.

სსრ კავშირის ქაღალდისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მინისტრი—**ვარაქსინი** თევდორე დიმიტრის-ძე.

სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი — **კობანოვი** ივანე გრიგოლის-ძე.

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრი — **კრუგლოვი** სერგი ნიკიფორეს-ძე.

სსრ კავშირის უმაღლესი განათლების მინისტრი—**ელიუტინი** ვიაჩესლავ პეტრეს-ძე.

სსრ კავშირის გეოლოგიისა და წიაღთა დაცვის მინისტრი — **ანტროპოვი** პეტრე იაკობის-ძე.

სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის მინისტრი — **უვაროვნკოვი** ვასილ გაბრიელის-ძე.

სსრ კავშირის დამზადებათა მინისტრი—**კორნიეიცი** ლეონიდე რომანის-ძე.

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი—**კოვრიგინა** მარიამ დიმიტრის ასული.

სსრ კავშირის კულტურის მინისტრი — **ალექსანდროვი** გიორგი თევდორეს-ძე.

სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის მინისტრი — **ორლოვი** გიორგი მიხეილის-ძე.

სსრ კავშირის მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის მინისტრი—**პარშინი** პეტრე ივანეს-ძე.

სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობის მინისტრი — **ბაიბაკოვი** ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძე.

სსრ კავშირის თავდაცვის მრეწველობის მინისტრი — **უსტინოვი** დიმიტრი თევდორეს-ძე.

სსრ კავშირის ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის მინისტრი — **ანტონოვი** სერგი თევდორეს-ძე.

სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის მინისტრი — **ზოტოვი** ვასილ პეტრეს-ძე.

სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრი — **იუდინი** პავლე ალექსანდრეს-ძე.

სსრ კავშირის ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის მინისტრი — **რიეუოვი** ნიკიტა სიმონის-ძე.

სსრ კავშირის გზათა მინისტრი — **ბეშჩევი** ბორის პავლეს-ძე.

სსრ კავშირის რადიოტექნიკური მრეწველობის მინისტრი — **კალმიკოვი** ვალერი დიმიტრის-ძე.

სსრ კავშირის თევზის მრეწველობის მინისტრი — **იშკოვი** ალექსანდრე აკიმის-ძე.

სსრ კავშირის კავშირგაბმულობის მინისტრი — **პსურცევი** ნიკოლოზ დემიანის-ძე.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრი — **ბენედიქტოვი** ივანე ალექსანდრეს-ძე.

სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების მინისტრი — **კოზლოვი** ალექსი ივანეს-ძე.

სსრ კავშირის ჩარხმშენებელი და ინსტრუმენტალური მრეწველობის მინისტრი — **კოსტოუსოვი** ანატოლი ივანეს-ძე.

სსრ კავშირის სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის მინისტრი — **ნოვოსიოლოვი** ეფიმ სტეფანეს-ძე.

სსრ კავშირის მშენებლობის მინისტრი — **დიგაი** ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე.

სსრ კავშირის მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის მინისტრი — **რაიზერი** დავით იაკობის-ძე.

სსრ კავშირის გემთმშენებლობის მრეწველობის მინისტრი — **ნოსენკო** ივანე ისიდორეს-ძე.

სსრ კავშირის სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის მინისტრი — **სტეპანოვი** სერგი ალექსანდრეს-ძე.

სსრ კავშირის მძიმე მანქანათმშენებლობის მინისტრი — **კაზაკოვი** ნიკოლოზ სტეფანეს-ძე.

სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის მინისტრი — **ზასიადკო** ალექსანდრე თევდორეს-ძე.

სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრი — **ზვერევი** არსენ გრიგოლის-ძე.

სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის მინისტრი — **ტიხომიროვი** სერგი მიხეილის-ძე.

სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის მინისტრი — **ლომაკო** პეტრე თადეოზის-ძე.

სსრ კავშირის შავი მეტალურგიის მინისტრი — **კუზმინი** ანატოლი ნიკოლოზის-ძე.

სსრ კავშირის ელექტროსადგურების მინისტრი — **პავლენკო** ალექსი სერგის-ძე.

სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის მინისტრი — **სკიდანენკო** ივანე ტიმოთეს-ძე.

სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრი — **გორშენინი** კონსტანტინე პეტრეს-ძე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე — **სოკოლოვი** კონსტანტინე მიხეილის-ძე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე — **სეროვი** ივანე ალექსანდრეს-ძე.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობის თავმჯდომარე — **პოპოვი** ვასილ თევდორეს-ძე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1954 წ. 27 აპრილი.

კ ა ნ ო ნ ი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

I.

მუხლი 1. დამტკიცდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი სსრ კავშირის 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიების მოხსენებათა მიხედვით მიღებული ცვლილებებით, სახელდობრ: შემოსავალი სულ 572.542.327 ათასი მანეთი და გასავალი სულ 562.801.956 ათასი მანეთი, გასავალზე შემოსავლის 9.740.371 ათასი მანეთის გადამეტებით.

დამტკიცდეს, რომ სსრ კავშირის 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად მომდინარე წლის შემოსავლის 15.734.000 ათასი მანეთი მოხმარდეს 1954 წლის 1 აპრილიდან განხორციელებულ სასურსათო და სამრეწველო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების შემცირებას, რაც მოსახლეობისათვის უზრუნველყოფს 20.000.000 ათას მანეთზე მეტ სარგებლობას წელიწადზე გაანგარიშებით და, გარდა ამისა, საკავშირო ბიუჯეტის სახსრების ნაშთებიდან 6.500.000 ათასი მანეთი მოხმარდეს იმას, რომ აუნაზღაურდეს სავაჭრო ორგანიზაციებს იმ საქონლის ნაშთების ფასდაკლება, რომლის ფასებიც შემცირდა 1954 წლის 1 აპრილიდან.

მუხლი 2. დამტკიცდეს, რომ სსრ კავშირის 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან, როგორც ამას ითვალისწინებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, 23.281.300 ათასი მანეთი მოხმარდეს იმ განსხვავების ანაზღაურებას, რომელიც წარმოიშვა 1953 წელს სოფლის მეურნეობის პროდუქციის დასამზადებელი და შესასყიდი ფასების გადიდებასთან დაკავშირებით.

მუხლი 3. დაწესდეს სსრ კავშირის 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან სულ 497.258.874 ათასი მანეთი, რაც შეადგენს ბიუჯეტის მთელი შემოსავლის 86,9 პროცენტს.

მუხლი 4. დაწესდეს 1954 წლისათვის ბიუჯეტში სახსრების შემოსავალი სახელმწიფო სესხებისაგან, რომლებიც მოსახლეობაში ვრცელდება ხელის მოწერით, 15.890.000 ათასი მანეთის რაოდენობით და ბიუჯეტის გასავალი მოსახლეობისათვის სახელმწიფო სესხებით მოგებათა ასანაზღაურებლად და ობლიგაციების დასაფარავად 10.500.000 ათასი მანეთი.

მუხლი 5. დამტკიცდეს 1954 წლისათვის ბიუჯეტის შემოსავალი მოსახლეობისაგან სასოფლო-სამეურნეო გადასახადით 4.231.464 ათასი მანეთი, რაც ნიშნავს, რომ ამ გადასახადით დაბეგვრის დონე 1952 წელთან შედარებით მცირდება 2,5-ჯერ და უფრო მეტად.

მუხლი 6. დაწესდეს სსრ კავშირის 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალი სახალხო მეურნეობის დასაფინანსებლად 216.359.950 ათასი მანეთი და, გარდა ამისა, საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა საკუთარი სახსრებიდან 110.349.000 ათასი მანეთი, ხოლო სულ 326.708.950 ათასი მანეთი, რაც ნიშნავს 19,8 პროცენტით გადიდებას 1953 წელთან შედარებით.

მუხლი 7. დაწესდეს 1954 წლისათვის საბიუჯეტო ასიგნობანი შავი და ფერადი მეტალურგიის, ელექტროსადგურების, ქვანახშირის, ნავთობის, ქიმიური მრეწველობის, მანქანათმშენებლობის, სატყეო და ქაღალდის მრეწველობის, სამშენებლო ინდუსტრიის, საშენ მასალათა მრეწველობისა და მძიმე მრეწველობის სხვა დარგების დასაფინანსებლად 79.668.766 ათასი მანეთი და, გარდა ამისა, საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა საკუთარი სახსრებიდან — 53.545.360 ათასი მანეთი, ხოლო სულ — 133.214.126 ათასი მანეთი.

მუხლი 8. დაუმტკიცდეს 1954 წლისათვის სსრ კავშირის ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტროს, სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის თევზის მრეწველობის სამინისტროს და სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების შემდგომი გადიდებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების, აგრეთვე სავაჭრო ორგანიზაციების ქსელის გაფართოების ღონისძიებათა განსახორციელებლად 36.570.616 ათასი მანეთი, მათ შორის ბიუჯეტიდან — 14.212.466 ათასი მანეთი და საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა საკუთარი სახსრებიდან — 22. 358.150 ათასი მანეთი.

მუხლი 9. დაწესდეს 1954 წლისათვის ბიუჯეტის გასავალი სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის, ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების ღონისძიებათა და სოფლის მეურნეობისა და დამზადების დარგში სხვა ღონისძიებათა დასაფინანსებლად 62.458.360 ათასი მანეთი და, გარდა ამისა, საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა საკუთარი სახსრებიდან 11.947.380 ათასი მანეთი, ხოლო სულ 74.405.740 ათასი მანეთი.

მუხლი 10. დაწესდეს 1954 წლისათვის სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალი რკინიგზის, საზღვაო, სამდინარო, საჰაერო ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დასაფინანსებლად 21.465.490 ათასი მანეთი და, გარდა ამისა, საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა საკუთარი სახსრებიდან — 17.286.514 ათასი მანეთი, ხოლო სულ 38.752.004 ათასი მანეთი.

მუხლი 11. დაწესდეს სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტში 1954 წლისათვის ასიგნობანი სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის სულ 141.382.886 ათასი მანეთი, რაც ნიშნავს 9,8 პროცენტით გადიდებას 1953 წელთან შედარებით. ცალკეულ სახეობათა სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის ხარჯები დაწესდეს შემდეგი ოდენობით:

ა) **განათლება და კულტურა** — საყოველთაო სწავლების დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლების, ტექნიკუმებისა და სხვა საშუალო სპეციალური სასწავლებლებისათვის; უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებებისათვის; საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების, სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებისათვის; სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებლებისათვის; მუშათა, კოლმეურნეთა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებლად კურსებისა და სხვა ღონისძიებებისათვის; ბიბლიოთეკების, კულტურის სასახლეებისა და სახლების, კლუბების, თეატრების, პრესის, რადიომაუწყებლობისა და განათლებისა და კულტურის სხვა ღონისძიებებისათვის — სულ 67.172.844 ათასი მანეთი;

ბ) **ჯანმრთელობის დაცვა და ფიზიკური კულტურა** — საავადმყოფოების, დისპანსერების, სამშობიარო სახლების, საბავშვო ბაგების, სანატორიუმებისათვის და მოსახლეობისადმი სამედიცინო დახმარების გამწევი სხვა დაწესებულებებისათვის; სპორტული და ფიზკულტურული ღონისძიებებისათვის — 29.278.433 ათასი მანეთი;

დამტკიცდეს ჯანმრთელობის დაცვისათვის ზემოთ აღნიშნული ხარჯების გარდა, ასიგნობანი სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტით 2.410.562 ათასი მანეთი სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საგზურების შესაძენად მუშებისა და მოსამსახურეებისათვის, დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმების მშენებლობის, მოწყობის, გაფართოებისა და რემონტისათვის, აგრეთვე ზაფხულის პერიოდში ბავშვთა გამოჯანსაღებელი ღონისძიებების განხორციელებისათვის;

გ) **სოციალური უზრუნველყოფა და სოციალური დაზღვევა** — ომის ინვალიდებისა და მათი ოჯახების და ომში დაღუპულთა ოჯახების პენსიებისა და დახმარებისათვის; შრომის ინვალიდებისა და მათი ოჯახების პენსიებისა და დახმარებისათვის; ინვალიდთა სახლების შენახვისათვის; მუშათა და მოსამსახურეთა დროებით შრომის უნარის დაკარგვის, ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის კვების გამო ქალთა დახმარებისათვის, აგრეთვე მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისადმი დახმარებისათვის — სულ 42.521.047 ათასი მანეთი.

მუხლი 12. დამტკიცდეს სამმართველო აპარატის შენახვის ღირებულების შემდგომი გაიაფება, რომელსაც ითვალისწინებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და რაც 1954 წელს სახელმწიფოს დაუზოგავს 1953 წელთან შედარებით სულ 3.855.564 ათას მანეთს.

მუხლი 13. დაწესდეს სსრ კავშირის 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნობანი სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ხარჯთაღრიცხვით 100.318.762 ათასი მანეთი.

II.

მუხლი 14. დამტკიცდეს 1954 წლის საკავშირო ბიუჯეტის შემოსავალი 452.955.931 ათასი მანეთი და გასავალი 443.215.560 ათასი მანეთი, გასავალზე შემოსავლის 9.740.371 ათასი მანეთის გადამეტებით.

მუხლი 15. დამტკიცდეს მოკავშირე რესპუბლიკების 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტები შემდეგი ოდენობით:

	შემოსავალი (ათას მანეთობით)	გასავალი (ათას მანეთობით)
რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა	66.570.093	66.570.093
აქედან:		
რესპუბლიკური ბიუჯეტი	49.691.856	22.667.497
ადგილობრივი ბიუჯეტები	16.878.237	43.902.596
უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	22.988.180	22.988.180
აქედან:		
რესპუბლიკური ბიუჯეტი	18.697.498	9.776.291
ადგილობრივი ბიუჯეტები	4.290.682	13.211.889
ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	4.303.682	4.303.682
აქედან:		
რესპუბლიკური ბიუჯეტი	3.814.835	1.540.443
ადგილობრივი ბიუჯეტები	488.847	2.763.239
უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	3.779.210	3.779.210
აქედან:		
რესპუბლიკური ბიუჯეტი	3.263.258	1.503.569
ადგილობრივი ბიუჯეტები	515.952	2.275.641
ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	5.325.318	5.325.318
აქედან:		
რესპუბლიკური ბიუჯეტი	4.692.335	2.774.721
ადგილობრივი ბიუჯეტები	632.983	2.550.597
საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	2.775.186	2.775.186
აქედან:		
რესპუბლიკური ბიუჯეტი	2.362.316	1.243.533
ადგილობრივი ბიუჯეტები	412.870	1.531.653
აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	2.067.449	2.067.449
აქედან:		
რესპუბლიკური ბიუჯეტი	1.733.256	871.452
ადგილობრივი ბიუჯეტები	334.193	1.195.997
ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	1.740.762	1.740.762
აქედან:		
რესპუბლიკური ბიუჯეტი	1.552.544	940.658
ადგილობრივი ბიუჯეტები	188.218	800.104
მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	1.415.739	1.415.739
აქედან:		
რესპუბლიკური ბიუჯეტი	1.225.466	675.196
ადგილობრივი ბიუჯეტები	190.273	740.543
ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	1.653.961	1.653.961
აქედან:		
რესპუბლიკური ბიუჯეტი	1.322.908	860.377
ადგილობრივი ბიუჯეტები	331.053	793.584
ყირგიზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	1.253.498	1.253.498
აქედან:		
რესპუბლიკური ბიუჯეტი	1.115.635	592.920
ადგილობრივი ბიუჯეტები	137.863	660.578
ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	1.283.528	1.283.528
აქედან:		
რესპუბლიკური ბიუჯეტი	1.186.738	654.009
ადგილობრივი ბიუჯეტები	96.790	629.519
სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	1.225.414	1.225.414
აქედან:		
რესპუბლიკური ბიუჯეტი	1.049.528	606.054
ადგილობრივი ბიუჯეტები	175.886	619.360
თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	1.074.911	1.074.911
აქედან:		
რესპუბლიკური ბიუჯეტი	949.912	540.426
ადგილობრივი ბიუჯეტები	124.999	534.485
ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	1.179.168	1.179.168
აქედან:		
რესპუბლიკური ბიუჯეტი	1.019.098	706.009
ადგილობრივი ბიუჯეტები	160.070	473. 159
კარელია-ფინეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	950.297	950.297
აქედან:		
რესპუბლიკური ბიუჯეტი	871.608	690.085
ადგილობრივი ბიუჯეტები	78.689	260.212
სულ		
რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტები	119.586.396	119.586.396
აქედან:		
რესპუბლიკური ბიუჯეტები	94.548.791	46.643.240
ადგილობრივი ბიუჯეტები	25.037.605	72.943.156

დაწესდეს მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტების ხარჯების შემადგენლობაში ასიგნობანი განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფისათვის — სულ 73.292.964 ათასი მანეთი.

მუხლი 16. დაწესდეს რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტების საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთები 1955 წლის 1 იანვრისათვის 3.444.027 ათასი მანეთი, მათ შორის რუსეთის სფს რესპუბლიკაში — 1.978.100 ათასი მანეთი, უკრაინის სს რესპუბლიკაში — 576.634 ათასი მანეთი, ბელორუსიის სს რესპუბლიკაში — 128.660 ათასი მანეთი, უზბეკეთის სს რესპუბლიკაში — 112.146 ათასი მანეთი, ყაზახეთის სს რესპუბლიკაში — 159.400 ათასი მანეთი, საქართველოს სს რესპუბლიკაში—83.256 ათასი მანეთი, აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში — 61.723 ათასი მანეთი, ლიტვის სს რესპუბლიკაში — 52.223 ათასი მანეთი, მოლდავეთის სს რესპუბლიკაში — 42.172 ათასი მანეთი, ლატვიის სს რესპუბლიკაში — 49.619 ათასი მანეთი, ყირგიზეთის სს რესპუბლიკაში — 37.485 ათასი მანეთი, ტაჯიკეთის სს რესპუბლიკაში — 31.389 ათასი მანეთი, სომხეთის სს რესპუბლიკაში — 36.642 ათასი მანეთი, თურქმენეთის სს რესპუბლიკაში — 32.247 ათასი მანეთი, ესტონეთის სს რესპუბლიკაში — 33.822 ათასი მანეთი, კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკაში — 28.509 ათასი მანეთი.

მუხლი 17. დამტკიცდეს 1954 წლისათვის ანარიცხები საერთო-საკავშირო სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლიდან რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებში შემდეგი ოდენობით:

ა) შემოსავალი ბრუნვის გადასახადიდან: რუსეთის სფსრ — 14,4 პროცენტი, უკრაინის სსრ — 22,5 პროცენტი, ბელორუსიის სსრ — 35,3 პროცენტი, უზბეკეთის სსრ — 18,6 პროცენტი, ყაზახეთის სსრ — 46,7 პროცენტი, საქართველოს სსრ — 30,4 პროცენტი, აზერბაიჯანის სსრ — 20,1 პროცენტი, ლიტვის სსრ — 46,8 პროცენტი, მოლდავეთის სსრ — 37,6 პროცენტი, ლატვიის სსრ — 10,7 პროცენტი, ყირგიზეთის სსრ — 44,0 პროცენტი, ტაჯიკეთის სსრ — 42,5 პროცენტი, სომხეთის სსრ — 36,5 პროცენტი, თურქმენეთის სსრ — 35,4 პროცენტი, ესტონეთის სსრ—24,4 პროცენტი, კარელია-ფინეთის სსრ — 52,1 პროცენტი;

ბ) შემოსავალი კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადიდან, სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან, სსრ კავშირის უცოლო, მარტოხელა და მცირე ოჯახიან მოქალაქეთა გადასახადიდან, სატყეო შემოსავლიდან და მოსახლეობაში ხელმოწერით გავრცელებული სახელმწიფო სესხის თანხებიდან—40 პროცენტი; შემოსავალი მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან—25 პროცენტი;

გ) მანქანა-ტრაქტორთა და სპეციალიზებული სადგურების შემოსავლიდან; რუსეთის სფსრ, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, ყაზახეთის სსრ, საქართველოს სსრ, აზერბაიჯანის სსრ, ლიტვის სსრ, მოლდავეთის სსრ, ლატვიის სსრ, ყირგიზეთის სსრ, ტაჯიკეთის სსრ, სომხეთის სსრ, თურქმენეთის სსრ, ესტონეთის სსრ, კარელია-ფინეთის სსრ — 25 პროცენტი, უზბეკეთის სსრ — 10 პროცენტი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1954 წ. 26 აპრილი.

კ ა ნ ო ნ ი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი:

1953 წლის 3 დეკემბრისა „მაგადანის ოლქის შექმნის შესახებ“;

1954 წლის 6 იანვრისა „რუსეთის სფსრ შემადგენლობაში ბალაშოვის ოლქის შექმნის შესახებ“;

1954 წლის 6 იანვრისა „რუსეთის სფსრ შემადგენლობაში ბელგოროდის ოლქის შექმნის შესახებ“;

1954 წლის 6 იანვრისა „რუსეთის სფსრ შემადგენლობაში კამენკის ოლქის შექმნის შესახებ“;

1954 წლის 6 იანვრისა „რუსეთის სფსრ შემადგენლობაში ლიპეცკის ოლქის შექმნის შესახებ“;

1954 წლის 7 იანვრისა „რუსეთის სფსრ შემადგენლობაში არზამასის ოლქის შექმნის შესახებ“;

1954 წლის 7 იანვრისა „უკრაინის სსრ შემადგენლობაში ჩერკასის ოლქის შექმნის შესახებ“;

1954 წლის 4 თებერვლისა, ქალაქ პროსკუროვისათვის ქალაქ ხმელნიცკის და კამენეც-პოდოლსკის ოლქისათვის ხმელნიცკის ოლქის დარქმევის შესახებ“;

1954 წლის 15 თებერვლისა „უკრაინის სსრ იზმაილის ოლქის გაუქმების შესახებ“.

ამასთან დაკავშირებით, აგრეთვე შესაბამისად სსრ კავშირის 1954 წლის 26 აპრილის კანონისა „რუსეთის სფსრ შემადგენლობიდან უკრაინის სსრ შემადგენლობაში ყირიმის ოლქის გადაცემის შესახებ“ შეტანილ იქნას საჭირო ცვლილებანი და დამატებანი სსრ კავშირის კონსტიტუციის 22-ე და 23-ე მუხლებში, და ეს მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

მუხლი 22. რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა შედგება: ალტაის, კრასნოდარის, კრასნოიარსკის, ზღვისპირეთის, სტავროპოლის, ხაბაროვსკის მხარეებისაგან; ამურის, არზამასის, არხანგელსკის, ასტრახანის, ბალაშოვის, ბელგოროდის, ბრიანსკის, ველიკიე ლუკის, ვლადიმირის, ვოლოგდის, ვორონეჟის, გორკის, გროზნოს, ივანოვოს, ირკუტსკის, კალინინგრადის, კალინინის, კალუგის, კამენკის, კემეროვოს, კიროვის, კოსტრომის, კუიბიშევის, კურგანის, კურსკის, ლენინგრადის, ლიპეცკის, მაგადანის, მოლოტოვის, მოსკოვის, მურმანსკის, ნოვგოროდის, ნოვოსიბირსკის, ომსკის, ორიოლის, პენზის, პსკოვის, როსტოვის, რიაზანის, სარატოვის, სახალინის, სვერდლოვსკის, სმოლენსკის, სტალინგრადის, ტამბოვის, ტომსკის, ტულის, ტიუმენის, ულიანოვსკის, ჩელიაბინსკის, ჩიტის, ჩკალოვის, იაროსლავლის ოლქებისაგან; თათრეთის, ბაშკირეთის, დღისტნის, ბურიატ-მონღოლეთის, ყაბარდოს, კომის, მარეთის, მორდვეთის, ჩრდილოეთ ოსეთის, უდმურტეთის, ჩუვაშეთის, იაკუტიის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკებისაგან; ადიღეს, მთიანი ალტაის, ებრაელთა, ტუვის, ხაკასეთის, ჩერქეზეთის ავტონომიური ოლქებისაგან.

მუხლი 23. უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შედგება ვინიცის, ვოლინის, ვოროშილოვგრადის, დნეპროპეტროვსკის, დროგობიჩის, ჟიტომირის, იმიერკარპატის, ზაპოროჟიეს, კიევის, კიროვოგრადის, ყირიმის, ლვოვის, ნიკოლაევის, ოდესის, პოლტავის, როვნოს, სტალინოს, სტანისლავის, სუმის, ტერნოპოლის, ხარკოვის, ხერსონის, ხმელნიცკის, ჩერკასის, ჩერნიგოვისა და ჩერნოვიცის ოლქებისაგან.

2. დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1953 წლის 23 აპრილის ბრძანებულება „საქართველოს სსრ ქუთაისისა და თბილისის ოლქების გაუქმების შესახებ“.

ამის შესაბამისად შეტანილ იქნას საჭირო ცვლილებანი სსრ კავშირის კონსტიტუციის 25-ე მუხლში და ეს მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 25. საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში შედიან აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“.

3. დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1954 წლის 8 იანვრის ბრძანებულება. „ბელორუსიის სსრ ბარანოვიჩის, ბობრუისკის, პინსკის, პოლესიეს და პოლოცკის ოლქების გაუქმების შესახებ“.

ამის შესაბამისად შეტანილ იქნას საჭირო ცვლილებანი სსრ კავშირის კონსტიტუციის 29-ე მუხლში და ეს მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 29. ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შედგება: ბრესტის, ვიტებსკის, გომელის, გროდნოს, მინსკის, მოგილიოვისა და მოლოდეჩნოს ოლქებისაგან“.

4. დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1952 წლის 4 აპრილის ბრძანებულება „თურქმენეთის სსრ შემადგენლობაში კრასნოვოდსკის ოლქის შექმნის შესახებ“.

ამის შესაბამისად სსრ კავშირის კონსტიტუციის 29-ე მუხლი სიტყვა „აშხაბადის“ შემდეგ შეივსოს სიტყვით „კრასნოვოდსკის“.

5. დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1953 წლის 28 მაისის ბრძანებულება „ლიტვის სსრ ვილნიუსის, კაუნასის, კლაიპედისა და შაულიაის ოლქების გაუქმების შესახებ“.

ამის შესაბამისად სსრ კავშირის კონსტიტუციაში ამოიშალოს 29-ე მუხლი — გ.

6. დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი:

1953 წლის 24 აგვისტოსი — „სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს შექმნის შესახებ“;

1953 წლის 24 აგვისტოსი — „სსრ კავშირის ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტროს შექმნის შესახებ“;

1953 წლის 24 აგვისტოსი „სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს შექმნის შესახებ“;

1953 წლის 24 აგვისტოსი „სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს შექმნის შესახებ“;

1953 წლის 24 აგვისტოსი „სსრ კავშირის საავიაციო მრეწველობის სამინისტროს შექმნის შესახებ“;

1953 წლის 26 აგვისტოსი „სსრ კავშირის საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს შექმნის შესახებ“;

1953 წლის 31 აგვისტოსი „სსრ კავშირის გეოლოგიისა და წიაღთა დაცვის სამინისტროს შექმნის შესახებ“;

1953 წლის 1 სექტემბრისა „სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს შექმნის შესახებ“;

1953 წლის 21 ნოემბრისა „დამზადებათა საერთო-საკავშირო სამინისტროს შექმნის შესახებ“;

1953 წლის 25 ნოემბრისა „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს სახელის გამოცვლის შესახებ“;

1954 წლის 21 იანვრისა „სსრ კავშირის რადიოტექნიკური მრეწველობის სამინისტროს შექმნის შესახებ“.

1954 წლის 8 თებერვლისა „სსრ კავშირის შავი მეტალურგიის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს და სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს შექმნის შესახებ“;

1954 წლის 9 მარტისა „სსრ კავშირის უმაღლესი განათლების საერთო-საკავშირო სამინისტროს შექმნის შესახებ“;

1954 წლის 13 მარტისა „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის შექმნის შესახებ“;

1954 წლის 6 აპრილისა „სსრ კავშირის თევზის მრეწველობის სამინისტროს შექმნის შესახებ“;

1954 წლის 17 აპრილისა „სსრ კავშირის ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტროს შექმნის შესახებ“;

1954 წლის 17 აპრილისა „სსრ კავშირის ელექტროსადგურების საერთო-საკავშირო სამინისტროსა და სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის საერთო-საკავშირო სამინისტროს შექმნის შესახებ“;

1954 წლის 19 აპრილისა „სსრ კავშირის გემთმშენებელი მრეწველობის საერთო-საკავშირო სამინისტროს, სსრ კავშირის სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის საერთო-საკავშირო სამინისტროს, სსრ კავშირის მძიმე მანქანათმშენებლობის საერთო-საკავშირო სამინისტროსა და სსრ კავშირის სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის საერთო-საკავშირო სამინისტროს შექმნის შესახებ“;

1954 წლის 19 აპრილისა „სსრ კავშირის საავტომობილო, სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის საერთო-საკავშირო სამინისტროს, სსრ კავშირის ჩარხმშენებელი და ინსტრუმენტალური მრეწველობის საერთო-საკავშირო სამინისტროსა და სსრ კავშირის მანქანათმშენებელი და ხელსაწყოთმშენებელი საერთო-საკავშირო სამინისტროს შექმნის შესახებ“;

1954 წლის 19 აპრილისა „სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროსა და სსრ კავშირის ქაღალდისა და ხის დამუშავებელი მრეწველობის საერთო-საკავშირო სამინისტროს შექმნის შესახებ“;

1954 წლის 19 აპრილისა „სსრ კავშირის მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის საერთო-საკავშირო სამინისტროსა და სსრ კავშირის მშენებლობის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს შექმნის შესახებ“;

1954 წლის 19 აპრილისა „სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის საერთო-საკავშირო სამინისტროს სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ გარდაქმნისა და უკრაინის სსრ ქვანახშირის მრეწველობის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს შექმნის შესახებ“;

1954 წლის 23 აპრილისა „სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის შესახებ“.

ამასთან დაკავშირებით, აგრეთვე შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1953 წლის 8 აგვისტოს დადგენილებისა „სსრ კავშირის საშუალო მანქანათმშენებლობის სამინისტროს შექმნის თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ“ შეტანილ იქნას საჭირო ცვლილებანი და და-

(დასასრული მე-3 გვერდზე)

კ ა ნ ო ნ ი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

(დასასრული)

მატებანი სსრ კავშირის კონსტიტუციის 70, 77 და 78 მუხლებში და ეს მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 70. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ქმნის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეები;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები;

სსრ კავშირის მინისტრები;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე;

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობის თავმჯდომარე“.

„მუხლი 77. საერთო-საკავშირო სამინისტროებს ეკუთვნის სამინისტროები:

საავიაციო მრეწველობისა;

საავტომობილო, სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობისა;

ქაღალდისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობისა;

საგარეო ვაჭრობისა;

უმაღლესი განათლებისა;

გეოლოგიისა და წიაღთა დაცვისა;

დამზადებათა;

მანქანათმშენებლობის და ხელსაწყოთმშენებლობისა;

საზღვაო და სამდინარო ფლოტისა;

ნავთობის მრეწველობისა;

თავდაცვის მრეწველობისა;

გზათა;

რადიოტექნიკური მრეწველობისა;

კავშირგაბმულობისა;

საშუალო მანქანათმშენებლობისა;

ჩარხმშენებელი და ინსტრუმენტალური მრეწველობისა;

სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობისა;

მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის საწარმოთა მშენებლობისა;

გემთმშენებელი მრეწველობისა;

სატრანსპორტო მანქანათმშენებლობისა;

მძიმე მანქანათმშენებლობისა;

ქიმიური მრეწველობისა;

ელექტროსადგურებისა;

ელექტროტექნიკური მრეწველობისა.

მუხლი 78. საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროებს ეკუთვნის სამინისტროები:

საავტომობილო ტრანსპორტის და გზატკეცილებისა;

შინაგან საქმეთა;

სახელმწიფო კონტროლისა;

ჯანმრთელობის დაცვისა;

საგარეო საქმეთა;

კულტურისა;

სატყეო მრეწველობისა;

თავდაცვისა;

ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობისა;

სასურსათო საქონლის მრეწველობისა;

საშენ მასალათა მრეწველობისა;

ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის მრეწველობისა;

თევზის მრეწველობისა;

სოფლის მეურნეობისა;

საბჭოთა მეურნეობებისა;

მშენებლობისა;

ვაჭრობისა;

ქვანახშირის მრეწველობისა;

ფინანსთა;

ფერადი მეტალურგიისა;

შავი მეტალურგიისა;

იუსტიციისა“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1954 წ. 26 აპრილი.

კ ა ნ ო ნ ი

რუსეთის სფსრ შემადგენლობიდან უკრაინის სსრ შემადგენლობაში ყირიმის ოლქის გადაცემის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1954 წლის 19 თებერვლის ბრძანებულება რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობიდან უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში ყირიმის ოლქის გადაცემის შესახებ.

2. შეტანილ იქნას სათანადო ცვლილებანი სსრ კავშირის კონსტიტუციის 22-ე და 23-ე მუხლებში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1954 წ. 26 აპრილი.

კ ა ნ ო ნ ი

„საყოველთაო სამხედრო ვალდებულების კანონის 30-ა და 30-ბ მუხლების რედაქციის შეცვლის“ თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1953 წლის 22 აგვისტოს ბრძანებულება „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების კანონის 30-ა და 30-ბ მუხლების რედაქციის შეცვლის შესახებ“.

ამასთან დაკავშირებით საყოველთაო სამხედრო ვალდებულების კანონის 30-ა და 30-ბ მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 30-ა. ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვეული მოქალაქენი ვალდებული არიან ჯარის ნაწილებში გამოცხადდნენ საკუთარი წესივრული ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით. ჯარის ნაწილების სიებში ჩარიცხვის შემდეგ მათ ეძლევათ სამხედრო ჩაცმულობა დაწესებული ნორმების მიხედვით.

გაწვეულთა საკუთარ ტანსაცმელს მათ მიერ ნაჩვენები მისამართით ჯარის ნაწილები გზავნიან უფასო საფოსტო ამანათებით.

მუხლი 30-ბ. სამსახურის დაწესებული ვადის დამთავრებისას თადარიგში დათხოვნილი სამხედრო მოსამსახურეები უზრუნველყოფილ იქნებიან წესივრული ჩაცმულობით სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს მიერ დაწესებული სიის მიხედვით.

სამხედრო სამსახურიდან ვადამდე დათხოვნილი ჯარისკაცები, მატროსები, სერჟანტები და ზემდეგები უზრუნველყოფილი იქნებიან სატარებლად ვარგისი ჩაცმულობით“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1954 წ. 26 აპრილი.

კ ა ნ ო ნ ი

„სსრ კავშირის მოქალაქეებსა და უცხოელებს შორის ქორწინების აკრძალვის“ თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 15 თებერვლის ბრძანებულების გაუქმების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1953 წლის 26 ნოემბრის ბრძანებულება „სსრ კავშირის მოქალაქეებსა და უცხოელებს შორის ქორწინების აკრძალვის“ თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 15 თებერვლის ბრძანებულების გაუქმების შესახებ“.

2. აღდგენილ იქნას „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მოქალაქეობის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლი რედაქციით, რომელიც მიიღო სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ 1938 წლის 19 აგვისტოს:

„მუხლი 5. სსრ კავშირის მოქალაქის ქორწინება იმ პირთან, რომელსაც არა აქვს სსრ კავშირის მოქალაქეობა, არ იწვევს მოქალაქეობის შეცვლას“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1954 წ. 26 აპრილი.

კ ა ნ ო ნ ი

სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 83-ე მუხლში ცვლილებათა შეტანის შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო მმართველობის ორგანოების სისტემაში მოხდა გარდაქმნები, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს სსრ კავშირის კონსტიტუციის 83-ე მუხლიდან ამოიშალოს სიტყვები: „ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი; კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე“ და ეს მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 83. მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ქმნის მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შემდეგი შემადგენლობით:

მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე; მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები; მინისტრები;

სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1954 წ. 26 აპრილი.

მექანიზატორთა შეჯიბრება თესვის სწრაფად დამთავრებისათვის

თელავის მტს-ის ბრიგადირ ამხ. დ. ნავროზაშვილს და მისი ბრიგადის წევრებს

სიღნაღის რაიონის ულიანოვკის მტს-ის მე-5 სატრაქტორო ბრიგადის ტრაქტორისტთა წერილი

ძვირფასო ამხანაგებო! წლევანდელმა დაგვიანებულმა გაზაფხულმა ჩვენს წინაშე დააყენა გადაუდებელი ამოცანა: მთელი ძალების მობილიზაციით, შინარესურსების მაქსიმალური გამოყენებით უმოკლეს ვადაში დავამთავროთ საგაზაფხულო ხვნა-თესვა და დაუღალავად ვიბრძოლოთ მიმდინარე წელს ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი მოსავლის მიღებისათვის.

ამ საკითხზე მსჯელობის დროს გამოითქვა აზრი მოგვეწერა ეს წერილი და გვეცნობებინა, რომ სურვილი გვაქვს მოვაწყოთ თქვენთან სოციალისტური შეჯიბრება პარტიისა და მთავრობის მიერ ჩვენს წინაშე დასახულ ამოცანათა წარმატებით განხორციელებისათვის.

ჩვენი სატრაქტორო ბრიგადა მომსახურებას უწევს სოფელ მაღაროს კოლმეურნეობა „ლენინის გზით“. ხვნა-თესვის დაწყებისთანავე ვალდებულება ვიკისრეთ:

5 მაისამდე ამ კოლმეურნეობას სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურები დავუთესოთ 355 ჰექტარზე. მათ შორის სიმინდი — 160 ჰექტარზე, მზესუმზირა — 180 ჰექტარზე. აქედან კვადრატულ-ბუდობრივად დავთესოთ 170 ჰექტარი. 25 აპრილისათვის უკვე დათესილი გვქონდა სულ 280 ჰექტარი, მათ შორის კვადრატულ-ბუდობრივად — 140 ჰექტარი.

ყველა ზომას ვიხმართ მანქანების მაღალნაყოფიერად გამოყენებისათვის აგროტექნიკის მოთხოვნების შესაბამისად განვახორციელებთ საჭირო ღონისძიებებს მოსავლიანობის ყოველმხრივ გასადიდებლად.

ჩვენი ბრიგადის ტრაქტორისტმა ტ. ბახტურიძემ, რომელიც მუშაობს სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივ თესვაზე, უკვე მიაღწია მანქანის უჩვეულო წარმადობას. იგი ყოველდღიურად 16-17 ჰექტარ სიმინდს თესავს. მანქანებს მაღალნაყოფიერად იყენებენ აგრეთვე ტრაქტორისტები: რ. მახარაშვილი, ვ. მარკუშინი, ნინო ბაბაკიშვილი, ფ. ლობაჩოვი და სხვები.

ჩვენ აგრეთვე ვიკისრეთ ვალდებულება: გავწიოთ საწვავის ეკონომია 10 პროცენტით, ყველა სათოხნი კულტურის კულტივაცია ჩავატაროთ ორჯერ.

გაცნობებთ ძვირფასო ამხანაგებო, რომ დღემდე არ გვქონია ტრაქტორების გაცდენის არც ერთი შემთხვევა. ამის შედეგად ყველა ტრაქტორისტი ყოველდღიურ დავალებას გადაჭარბებით ასრულებს. ამჟამად ჩვენი ტრაქტორისტების ნაწილი მუშაობს შემოდგომის ნათესების გამოკვებაზე, სასილოსე კულტურების თესვაზე, მეცხოველეობის ფერმებში საკვების მიზიდვასა და ვენახებში რიგთაშორის ხვნის სამუშაოებზე.

ასეთია ჯერჯერობით ჩვენი ბრიგადის საქმიანობა.

გთხოვთ გვაცნობოთ თქვენი თანხმობა ჩვენთან სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის შესახებ. ამასთან მოგვწერეთ წერილი თქვენი შრომითი წარმატებების შესახებ.

მხურვალე სალამით:

მეხუთე სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი დ. ნავროზაშვილი, ბრიგადირის თანაშემწე ნ. ბოქოლიშვილი, ტრაქტორისტები: ტ. ბახტურიძე, რ. მახარაშვილი, ვ. მარკუშინი, ნინო ბაბაკიშვილი, ფ. ლობაჩოვი, ვ. ჟუჟუნაშვილი.

საგაზაფხულო თესვის მიმდინარეობა

(საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს 25 აპრილის ცნობებით)

რაიონები	სულ გაზაფხულის კულტურების თესვის გეგმის შესრულება %-ობით	მ. შ. საკვები კულტურები: ნათესი ბალახები — მრავალწლიანი	ერთწლიანი	საკვები ძირხვენები	სასილოსე კულტურები
ახალქალაქის	4,1	0,2	5,6	0	0
ბოგდანოვკის	1,4	0	0	0	0
ახალციხის	35,3	23,1	31,0	0,7	0
ადიგენის	20,8	16,0	2,0	1,5	0
ასპინძის	40,3	20,5	90,0	8,4	18,4
ხაშურის	35,5	9,3	24,7	32,1	1,8
ქარელის	40,6	17,8	20,7	48,8	0
გორის	60,0	99,2	79,1	80,0	47,8
კასპის	59,2	24,4	43,7	77,2	30,5
ბორჯომის	8,3	2,6	—	0,5	0
წალკის	25,4	2,0	4,0	0,7	0
დუშეთის	31,5	16,8	10,0	12,8	5,7
თეთრი წყაროს	35,0	36,5	51,3	6,4	5,0
თიანეთის	15,4	3,3	5,0	6,8	0
ყაზბეგის	0	—	—	—	—
გურჯაანის	57,5	10,0	18,0	82,5	22,9
კაჭრეთის	61,6	82,0	50,7	22,2	19,1
სიღნაღის	52,1	36,0	37,8	24,0	27,6
წითელწყაროს	95,5	108,0	58,2	78,5	94,0
თელავის	36,2	27,5	24,6	64,4	13,7
ახმეტის	46,6	14,0	20,7	55,2	0
ყვარლის	56,2	35,0	68,1	48,3	31,1
ლაგოდეხის	17,6	42,0	20,2	29,3	6,0
გარეჯის	74,6	46,0	89,0	84,0	67,7
მცხეთის	62,5	60,5	68,3	85,2	45,0
გარდაბნის	63,6	30,4	24,0	99,5	31,1
მარნეულის	46,5	91,7	17,0	75,7	38,2
ბოლნისის	70,0	35,3	127,1	61,5	47,1
საგარეჯოს	72,1	39,8	60,0	75,0	75,5
დმანისის	29,7	0	0	17,5	0
სამხ. ოსეთის ავტ. ოლქი	23,0	7,8	5,3	11,1	1,2
აბაშის	16,6	22,0	26,2	6,0	23,5
ცხაკაიას	10,5	166,7	0	36,4	0
გეგეჭკორის	21,8	0	5,0	0	0
ზუგდიდის	2,2	0	0	3,5	0,8
ხობის	5,5	—	2,0	0	1,5
წალენჯიხის	20,7	0	0	0	0
ჩხოროწყუს	10,7	0	0	0	0
მახარაძის	3,2	0	3,6	11,4	0
ლანჩხუთის	12,1	0	13,6	14,5	5,5
ჩოხატაურის	13,6	0	0	0	0
ფოთის	14,3	0	0	60,0	30,0
ქუთაისის	47,0	53,3	37,0	23,3	17,6
წყალტუბოს	41,4	20,0	22,4	14,0	30,0
სამტრედიის	22,4	56,0	14,8	20,0	8,1
წულუკიძის	31,2	62,0	9,3	80,0	4,3
ვანის	38,8	128,6	17,4	70,0	22,0
მაიაკოვსკის	15,0	0	16,0	21,4	13,0
ზესტაფონის	45,1	33,3	40,0	29,4	32,3
თერჯოლის	31,0	60,0	34,5	144,0	30,0
ჭიათურის	20,3	0	17,3	0	1,6
საჩხერის	14,6	16,0	2,0	0	0
ორჯონიკიძის	14,1	6,0	2,5	0	2,0
ტყიბულის	44,8	20,0	6,0	4,4	0
ონის	4,3	0	—	0	0
ამბროლაურის	3,2	0	—	0	0
ცაგერის	1,0	0	—	0	0
ლენტეხის	5,1	—	—	0	0
მესტიის	14,2	—	—	—	0
ქლუხორის	21,2	—	—	0	—
აფხაზეთის ასსრ	2,3	11,0	2,8	1,8	0
აჭარის ასსრ	17,6	10,4	23,1	17,3	2,1
სულ რესპუბლიკაში	**28,1**	**27,3**	**25,0**	**33,2**	**18,0**

სსრ კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში

საბჭოთა აზერბაიჯანი მძლავრი ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო რესპუბლიკაა

ს. ჯაფაროვი,
აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი.

დღეს, აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის მშრომელები აღნიშნავენ თავიანთი ისტორიის უდიდეს თარიღს — აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 34 წლისთავს.

აზერბაიჯანს, ერთ-ერთ რესპუბლიკას სსრ კავშირის თექვსმეტი მოკავშირე რესპუბლიკიდან, უმდიდრესი ბუნებრივი რესურსები აქვს. ხავთობი, მაგნიტური რკინაქვა, გოგირდის ალმადანი, კეთილშობილი ლითონები, ფიქალები, მინერალური სალებავები, მარილი — ეს არასრული ნუსხაა სასარგებლო წიაღისეულისა, რომლის მოპოვება წარმოებს რესპუბლიკაში. აზერბაიჯანში არის უძვირფასესი მინერალური წყაროებიც.

კომუნისტური პარტიის ბრძნული ეროვნული პოლიტიკისა და დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარების მეოხებით აზერბაიჯანელმა ხალხმა თავისი სამშობლო გადააქცია მძლავრ ინდუსტრიულ რესპუბლიკად, რომელსაც აქვს უაღრესად განვითარებული სოფლის მეურნეობა და მოწინავე სოციალისტური კულტურა.

ძირეულად იცვალა სახე ნავთობის მრეწველობამ, რომელიც რესპუბლიკის მეურნეობის წამყვანი დარგია. წინათ აზერბაიჯანში ცნობილი იყო თხევადი სათბობის მხოლოდ ოთხი საბადო. ახლა ოცდახუთ საბადოზე მეტის ექსპლოატაცია წარმოებს. ბაქოს მენავთობეები ტექნიკური პროგრესის მედროშენი არიან: მათ შექმნეს ნავთობის ძიების, ბურღვის, ამოღებისა და გადამუშავების მოწინავე მეთოდები.

რესპუბლიკაში ახლად შეიქმნა ნავთობის გადამამუშავებელი მრეწველობა. ბაქოს ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები აღჭურვილია შესანიშნავი ტექნიკით. ისინი ჩვენს ქვეყანას ამარაგებენ რამდენიმე ათეული სახელწოდებისა და სორტის საწვავითა და საცხები ზეთებით.

საბჭოთა ნავთობის მრეწველობის ტექნიკური პროგრესის დამახასიათებელ სიახლეთა თაოსნები გახდნენ კომუნისტური პარტიის მიერ აღზრდილი ადამიანები. რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც ცნობილია სტალინური პრემიის ლაურეატების ყურბან აბასოვის, მიხეილ კავეროჩკინის, ჩქაროსნული ბურღვის ოსტატების შარიფ ფატკულიევის, ალა დადაშ ქერბალაი ოღლის და სხვა შესანიშნავი ნოვატორების სახელები.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე აზერბაიჯანის მრეწველობა ძალიან სუსტად იყო განვითარებული. ბაქო ერთადერთი მსხვილი სამრეწველო ქალაქი იყო. სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის წლებში რესპუბლიკაში აშენდა ასობით საწარმო, შეიქმნა მრეწველობის ახალი დარგები: მანქანათმშენებელი, ქიმიური, სამშენებლო, საკონსერვო და ბევრი სხვა.

მრეწველობის (ნავთობის მრეწველობას გარდა) მთელი პროდუქციის მოცულობა უკვე 1940 წელს თხუთმეტჯერ და უფრო მეტად გადიდდა 1913 წელთან შედარებით. გაჩნდა ახალი სამრეწველო ცენტრები: კიროვაბადი, სუმგაიტი, დაშქესანი, მინგეჩაური.

სოფელ მინგეჩაურის ახლოს, ბოზდაღის ხეობაში, შენდება ჰიდროელექტროსადგური, რომელიც ერთ-ერთი უდიდესი იქნება საბჭოთა კავშირში. მინგეჩაურის ჰიდროელექტროსადგურის პირველი რიგის ამუშავება, რაც მიმდინარე წლის დამდეგს მოხდა, დიდი მოვლენა იყო რესპუბლიკის ცხოვრებაში. მინგეჩაურმა პირველი დენი მოგვცა. სადგურის დაპროექტებული სიმძლავრის სრული ამუშავების შემდეგ აზერბაიჯანის მრეწველობა და სოფლის მეურნეობა დამატებით მიიღებენ მილიონობით კილოვატსაათ იაფ ელექტროენერგიას.

მაგრამ მინგეჩაურჰესმშენი მარტო ენერგეტიკული ბაზა როდია. მასთან დაკავშირებულია უდიდესი სარწყავი ქსელის აგება. ხოლო რწყვა აზერბაიჯანის ველიანი რაიონების სიცოცხლის საფუძველია. ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ წლებში, ვ. ი. ლენინის მითითებით, დაწყებულ იქნა სარწყავი არხების მშენებლობა მტკვარ-არაქსის დაბლობში. არხებმა გამოაცოცხლეს მთელი რიგი ველიანი რაიონები. მინგეჩაურის ზღვა მორწყავს კიდევ ასეულ ათასობით ჰექტარ მიწებს, რომლებიც ამჟამად უდაბურია.

აზერბაიჯანელი ხალხის დიდ შემოქმედებითს მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკის მშრომელები. საბჭოთა ქვეყნის 500-მდე საწარმო და სამეცნიერო დაწესებულება მინგეჩაურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას ამარაგებს მექანიზმებით, საშენი მასალებით, მოწყობილობით, პროექტებით, გზავნის კონსულტანტებს. მშენებლობაზე აზერბაიჯანელებთან ერთად მუშაობენ რუსები, უკრაინელები, ქართველები, სომხები და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები. რუსმა ოსტატებმა ახალგაზრდა აზერბაიჯანელებს ასწავლეს ექსკავატორების მართვა, ტურბინების მონტაჟი. აზერბაიჯანელი ჭაბუკები უკრაინის ქარხნებში გადიოდნენ პრაქტიკას, სწავლობდნენ მეტალურგიულ წარმოებას. აზერბაიჯანელი მეტალურგების ზრდას ხელს უწყობს სოციალისტური შეჯიბრება საქართველოს მეტალურგებთან.

დიდ წარმატებებს მიაღწია აზერბაიჯანის გლეხობამაც, რომელმაც სამუდამოდ დააღწია თავი ფეოდალურ მონობას.

სოციალისტურმა გარდაქმნებმა სავსებით შეუცვალა სახე სოფელს. საბჭოთა სახელმწიფომ უზრუნველყო რესპუბლიკის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები თანამედროვე მანქანური ტექნიკით. აზერბაიჯანის მინდვრებში მუშაობს ათასობით ტრაქტორი, კომბაინი, ბამბის საკრეფი და სხვა მანქანები.

ჩვენს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მოჰყავთ ბამბა, ხორბალი, ბრინჯი, ყურძენი, სუბტროპიკული კულტურები, ხილი, უმაღლესი ხარისხის თამბაქო. ფართოდ ვითარდება მეაბრეშუმეობა, მესაქონლეობა. ალპური მდელოები და დაბლობის საზამთრო საძოვრები დიდ შესაძლებლობას იძლევა მეცხოველეობის მაღალპროდუქტიული მეურნეობის გადიდებისათვის.

საკოლმეურნეო წყობილებამ, მოწინავე აგრონომიული მეცნიერების მიღწევების ფართოდ დანერგვამ პრაქტიკაში და მექანიზაციამ შექმნა პირობები სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრი აღმავლობისათვის, გლეხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განუწყვეტელი ამაღლებისათვის. ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურის — ბამბის მოსავლიანობა რევოლუციამდელთან შედარებით რამდენჯერმე გადიდდა.

მნიშვნელოვნად გადიდდა აგრეთვე ხორბლის, ყურძნის, თამბაქოს მოსავლიანობა. კოლმეურნეობებს მოჰყავთ აზერბაიჯანელი სელექციონერ-მიჩურინელების მიერ გამოყვანილი საუკეთესო ჯიშების ბამბა, ხორბალი და სხვა კულტურები. სასოფლო - სამეურნეო კულტურების მაღალი მოსავლის მოყვანისათვის ათასობით კოლმეურნე და საბჭოთა მეურნეობის მუშაკი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით. მარტო კარიაგინოს რაიონის 1-ლი მაისის სახელობის კოლმეურნეობაში დაჯილდოებულია 300-ზე მეტი კაცი. ჩვენში დიდი პატივისცემით სარგებლობს ორგზის სოციალისტური შრომის გმირების ბასტი ბაგიროვას და შამამა ჰასანოვას, სოციალისტური შრომის გმირის სურაია ქერიმოვას, ბამბის ჩქაროსნული კრეფის ოსტატის გილას ვერდიევას და სხვების სახელები.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ჩვენ სრულად ვერ ვიყენებთ საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესების, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და განსაკუთრებით ჩვენი მინდვრების მოსავლიანობის ზრდის არსებულ შესაძლებლობებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების გადაწყვეტილებებმა სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის ახალი ფართო პერსპექტივები გადაუშალეს აზერბაიჯანს. ჩვენს წინაშე დგას ამოცანა — რაც შეიძლება უფრო სრულად გამოვიყენოთ მძლავრი საკოლმეურნეო წყობილების მთელი რეზერვები კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მრავალფეროვანი პროდუქციის წარმოების მკვეთრად გადიდებისათვის, კოლმეურნე გლეხობის კეთილდღეობის შემდგომი ზრდისათვის. ჰავის ხელსაყრელი პირობები, საირიგაციო სამუშაოთა ფართოდ განვითარება შესაძლებლობას გვაძლევს უახლოეს ხანში მნიშვნელოვნად გავაფართოოთ ბამბის ნათესები. ამასთან ერთად საჭიროა მკვეთრად გავადიდოთ მისი მოსავლიანობა. უკანასკნელ წლებში წარმოიშვა აზერბაიჯანის მებამბეთა შესანიშნავი საწარმოო თანამეგობრობა თავიანთ ამხანაგებთან უზბეკეთსა და თურქმენეთში. მათი გამოცდილების გადმოღებით ჩვენი მებამბეები შეძლებენ მნიშვნელოვნად გაადიდონ ბამბის მოსავალი.

მდიდარია აზერბაიჯანელი ხალხის სულიერი კულტურა. მას მრავალი საუკუნის ისტორია აქვს. აქ ქმნიდნენ თავიანთ უკვდავ ნაწარმოებებს დიდი პოეტები ნიზამი განჯელი და ფიზული, პროგრესული რევოლუციური მოღვაწე მ. ფ. ახუნდოვი. ძველი ხუროთმოძღვრების მრავალი ძეგლი ბაქოში, ნახჭევანში, კიროვაბადსა და სხვა ადგილებში, აგრეთვე არქეოლოგიური აღმოჩენები მოწმობენ წარსულის მრავალფეროვან კულტურას. მაგრამ აზერბაიჯანელი ხალხის შემოქმედებითს ძალებს ახშობდა უცხოელ დამპყრობთა მრავალი შემოსევა, უმთავრესად თურქეთიდან და ირანიდან, და ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ გაათავისუფლა აზერბაიჯანის მშრომელთა სულიერი ცხოვრება, უზრუნველყო ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის მაღალი განვითარება. რევოლუციამდელ აზერბაიჯანში მოსახლეობის 97 პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარი იყო. ახლა განხორციელებულია საყოველთაო სავალდებულო შვიდწლიანი სწავლება. დიდად გაიზარდა საშუალო სკოლების ქსელი. პარტიის XIX ყრილობის დირექტივების შესაბამისად მზადდება გადასვლა საყოველთაო სავალდებულო საშუალო განათლებაზე და პოლიტექნიკური სწავლების დანერგვაზე. რევოლუციამდელ აზერბაიჯანში არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი არ ყოფილა. ახლა რესპუბლიკაში ათობით უმაღლესი სასწავლებელი და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტია. შეიქმნა მეცნიერებათა აკადემია.

აზერბაიჯანელი ხალხის წინაშე ღიაა რუსული და მთელი მსოფლიო მეცნიერებისა და კულტურის საგანძური. იგი სწავლობს დიდი რუსი ძმისაგან, ზრდის მეცნიერ მუშაკთა, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა თავის ეროვნულ კადრებს. აზერბაიჯანელმა მწერლებმა, პოეტებმა, კომპოზიტორებმა, მხატვრებმა შექმნეს მთელი რიგი ნაწარმოებნი, რომლებიც წარმატებით სარგებლობენ არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ აგრეთვე საბჭოთა კავშირის სხვა მოძმე რესპუბლიკებში, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში.

საბჭოთა აზერბაიჯანის მაგალითი ცხადყოფს, თუ რა ძლიერ შემოქმედებითს ძალებს აღვიძებს სოციალისტური წყობილება, რა შესანიშნავი ნაყოფი მოაქვს ლენინურ-სტალინურ ეროვნულ პოლიტიკას, კომუნისტური პარტიის გიგანტურ მუშაობას ჩვენი ქვეყნის მშრომელების აღსაზრდელად პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, ხალხთა მეგობრობისა და საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით.

დიდ რუს ხალხთან და ყველა მოძმე რესპუბლიკის ხალხებთან აზერბაიჯანის მშრომელთა ურღვევი მეგობრობის განმტკიცება რესპუბლიკის შემდგომი ეკონომიური და კულტურული აყვავების საწინდარია. ამ ურღვევ მეგობრობას აზერბაიჯანის მშრომელები დაუცხრომლად განამტკიცებენ თავიანთი შრომითი გმირობით სოციალისტური სამშობლოს სასახელოდ. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო მჭიდროდ დარაზმულნი, ისინი მტკიცე რწმენით მიდიან წინ, ახალი გამარჯვებებისაკენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობაში.

გაიხსნა საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირი

ჟენევა, 27 აპრილი. (საკდესის სპეც. კორ.). გუშინ აქ ერთა სასახლეში გაიხსნა საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი, რომელიც მოწვეულია ბერლინის თათბირზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.

თათბირში მონაწილეობას იღებენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. მ. მოლოტოვი, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯ. დალესი, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჟ. ბიდო, ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. იდენი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ჯოუ ენ-ლაი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ნამ ირი, სამხრეთ კორეის საგარეო საქმეთა მინისტრი ბიონ იონ ტე, ავსტრალიის, კანადის, საბერძნეთის, ფილიპინების, ლუქსემბურგის, ახალი ზელანდიის, ტაილანდის საგარეო საქმეთა მინისტრები, თურქეთის, ბელგიის, კოლუმბიის, ეთიოპიისა და ჰოლანდიის წარმომადგენლები.

საბჭოთა კავშირის მხრივ თათბირის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ ა. ა. გრომიკო, ვ. ვ. კუზნეცოვი, აგრეთვე ვ. თ. ოუდინი, გ. ნ. ზარუბინი, ს. ა. ვინოგრადოვი, ს. პ. სუზდალევი, ნ. ტ. ფედორენკო, ლ. თ. ილიჩევი, ა. ა. ლავრიშჩევი; ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მხრივ ჯან ვენ-ტიანი, ვან ძია-სიანი, ლი კე-ნუნი, ვან ბინ-ნანი; ამერიკის შეერთებული შტატების მხრივ — დ. მაკარტური, ვ. მაკბრაიდი, რ. ლ. ო'კონორი, დ. ჰიტი, უ. ს. ჯონსონი; საფრანგეთის მხრივ — შოველი, ბრუსტრა, დე მარჟერი, ბაიენსი; ინგლისის მხრივ — ლორდი რედინგი, ჯ. ალენი, ჰ. ტრეველიანი, უ. გრეჰემი.

ვ. მ. მოლოტოვსა და ა. იდენს შორის წინასწარი მოლაპარაკების მსვლელობაში თავმჯდომარეობის წესის შესახებ მიღწეულ იქნა საბჭოთა წინადადება სამი თავმჯდომარის არჩევის შესახებ. ამის შესაბამისად თათბირის პირველ სხდომაზე ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის სახელით შეტანილ იქნა შემდეგი წინასწარ შეთანხმებული წინადადება: სხდომებზე რიგრიგობით იქნებიან თავმჯდომარედ ტაილანდის საგარეო საქმეთა მინისტრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი და ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი. თვითეული თავმჯდომარე აირჩევს თავის ორ თანაშემწეს.

ეს წინადადება თათბირმა მიიღო.

პირველი სხდომა, რომელიც საორგანიზაციო საკითხთა განხილვას მიეძღვნა, გახსნა როგორც თავმჯდომარემ ტაილანდის წარმომადგენელმა ვან ვაიტხაიაკონმა, რომელმაც მოკლე შესავალი სიტყვა წარმოთქვა.

თავმჯდომარემ გამოაქვეყნა შვეიცარიის კონფედერაციის პრეზიდენტის რიუბატელის დეპეშა, რომელშიც გამოთქმულია იმედი, რომ თათბირს წარმატება ექნება მტკიცე და სამართლიანი ზავის ჩამოგდების ინტერესებისათვის.

შემდეგ თათბირის მონაწილეები შეთანხმდნენ სხდომების წარმოების წესის შესახებ. გადაწყდა, რომ სხდომებს დაესწრებიან მხოლოდ თათბირის მონაწილენი. ოფიციალური ენები იქნება ფრანგული, რუსული, ინგლისური, ჩინური და კორეული.

ამით პირველი სხდომა დაიხურა. შემდეგი სხდომა ვ. მ. მოლოტოვის თავმჯდომარეობით გაიმართება 27 აპრილს 15 საათზე, კორეის საკითხის განსახილველად.

ვ. მ. მოლოტოვის შეხვედრა ბ-ნ დალესთან

ჟენევა, 27 აპრილი. (საკდესი). დღეს დილის 12 საათზე ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის შენობაში ვ. მ. მოლოტოვს საუბარი ჰქონდა ბ-ნ დალესთან. საუბარი დაახლოებით ნახევარ საათს გაგრძელდა. განიხილეს სხვადასხვა საკითხი ჟენევის თათბირის შესახებ.

ამას გარდა, ვ. მ. მოლოტოვმა ბ-ნ დალესს გადასცა საბჭოთა მთავრობის პასუხი ამერიკის შეერთებული შტატების 1954 წლის 19 მარტის მემორანდუმზე ატომის ენერგიის საკითხის შესახებ.

ვ. მ. მოლოტოვის შეხვედრა ბ-ნ ბიდოსთან

ჟენევა, 27 აპრილი. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ვ. მ. მოლოტოვს შეხვედრა ჰქონდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ბ-ნ ბიდოსთან საფრანგეთის დელეგაციის შენობაში. საუბარი შეეხო იმას, თუ რა წესით განიხილება ჟენევის თათბირზე ინდოჩინეთის საკითხი.

ინდოეთის პრესა ნერუს წინადადების შესახებ

დელი, 27 აპრილი. (საკდესი). როგორც ინდოეთის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს, ინდოეთის გაზეთები მიესალმებიან ინდოეთის პრემიერ-მინისტრ ნერუს წინადადებას ინდოჩინეთში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რომელიც მან გააკეთა ჟენევის თათბირის წინ.

გაზეთი „ჰინდუსტან სტანდარდი" წერს: „პრემიერ-მინისტრის ახალი წინადადება ინდოჩინეთში ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტის შესახებ განხილვის ღირსია. ცეცხლის ნამდვილი შეწყვეტიდან საბოლოო მოწესრიგებამდე ჯერ კიდევ შორია, მაგრამ, როგორც კორეაში, იგი ყოველ შემთხვევაში ბოლოს მოუღებს ომს და რამდენიმე ხნით შეამცირებს ომის გაფართოებისა და გაძლიერების შანსებს".

ეხება რა ამერიკის შეერთებული შტატების მოთხოვნას „ინდოჩინეთში პირდაპირი ჩარევის" შესახებ, გაზეთი აღნიშნავს: „თავის ამარად მიტოვებული ფრანგები, შესაძლებელია, დაიწყებენ მოლაპარაკებას ომის შეწყვეტის შესახებ, ომისა, რომლის მოგების იმედი მათ არასოდეს არ ჰქონიათ. ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობით და იმ პრინციპების შესაბამისად კი, რომლებიც ამას წინათ დალესმა უკარნახა, ფრანგები უნდა წარმოადგენდნენ საზარბაზნე ხორცს, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ყველა ქვეყანა ჩაბმულ უნდა იქნას ეგრეთწოდებულ აზიის ბლოკში".

„ინდოეთი, — წერს „ჰინდუსტან სტანდარდი", — მონაწილეობას არ მიიღებს რომელიმე დიდი სახელმწიფოს არც ერთ გეგმაში, რომლის მიზანი იქნება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ბატონობის დამყარება ანდა ომის გაფართოება".

გაზეთი „ინდიან ექსპრესი" წერს: „ნერუმ აღნიშნა, რომ საფრანგეთს კიდევ აქვს შესაძლებლობა თავი მეტად ღრმად არ ჩაათრევინოს ამერიკის შეერთებული შტატების გეგმებში და გაჰყვეს საკუთარ ისტორიულ ტრადიციებს".

როგორც გაზეთი „ამრიტა ბაზარ პატრიკა" აღნიშნავს, ნერუს განცხადება, რომ „მშვიდობა ჩვენთვის საარსებო საჭიროებაა", გამოხატავს არა მარტო „ინდოელი ხალხის, არამედ აზიის ყველა ქვეყნის ხალხების ყველაზე სანუკვარ ფიქრებს; ამ ხალხებმა ინდოჩინეთში ომის გაფართოება უკვე მიიჩნიეს სერიოზულ საფრთხედ თავიანთი პროგრესის, სტაბილურობისა და თავისუფლებისათვის".

გაზეთი მოუწოდებს ჟენევის თათბირის მონაწილე სახელმწიფოებს სერიოზულად განიხილონ ნერუს წინადადება და აცხადებს: „საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, ხელი შევუწყოთ მშვიდობის ატმოსფეროს დამყარებას და მოვსპოთ ეჭვები და შიში, რომლებიც ამჟამად ბატონობენ. ეს შეიძლება გაკეთდეს, თუ დაინტერესებული მხარეები უარს იტყვიან მუქარაზე და არ გააფართოებენ ომს. ეს წინადადებანი, უეჭველია, განსახორციელებელია, და შეიძლება დაუყოვნებლივ მათი განხორციელება".

შეთანხმება რუმინეთსა და ალბანეთს შორის საქონელბრუნვისა და გადასახდელთა შესახებ

ბუქარესტი, 25 აპრილი. (საკდესი). ბუქარესტში ხელმოწერილია შეთანხმება რუმინეთის სახალხო რესპუბლიკასა და ალბანეთის სახალხო რესპუბლიკას შორის 1954 წელს საქონელბრუნვისა და გადასახდელთა შესახებ.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკა ალბანეთის სახალხო რესპუბლიკას მიაწვდის ნავთობპროდუქტებს, ელექტროტექნიკურ მასალებს, ქიმიკატებს, მედიკამენტებს, სხვადასხვა სამრეწველო საქონელს.

ალბანეთის სახალხო რესპუბლიკა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში შეიტანს სპილენძს, ზეთისხილს, ციტრუსებს.

ამერიკის შეერთებული შტატები ინდოჩინეთის საქმეებში ერევიან

პარიზი, 26 აპრილი. (საკდესი). ინდოჩინეთის ომში ამერიკის შეერთებული შტატების უშუალო ჩარევის საფრთხე დიდ შეშფოთებას იწვევს საფრანგეთში. უკანასკნელ დღეებში ამ საფრთხემ კონკრეტული ხასიათი მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების დიპლომატიის ღონისძიებებთან დაკავშირებით, რომელთა მიზანია გაგრძელდეს და გაფართოვდეს ომი ინდოჩინეთში.

24 აპრილს მარიონეტული იმპერატორი ბაო დაი შეხვდა დალესს, ხოლო შემდეგ მან გამოაქვეყნა განცხადება, რომ უარს ამბობს ხელი მოაწეროს შეთანხმებებს, რომლებიც მომზადებულია საფრანგეთისა და ბაო დაის წარმომადგენელთა შორის რამდენიმე კვირის მოლაპარაკების შედეგად. ზოგიერთი გაზეთის აზრით, დალესმა მოითხოვა, რომ ბაო დაიმ არ მოაწეროს ხელი ამ შეთანხმებებს იმ საბაბით, რომ ისინი საკმარისად ვერ უზრუნველყოფენ ბაო დაის ვიეტნამის ეკონომიურ და პოლიტიკურ „დამოუკიდებლობას" საფრანგეთისაგან. პრესის ცნობების მიხედვით, საფრანგეთის პოლიტიკურ წრეებში დალესის საუბარი ბაო დაისთან მიაჩნიათ საფრანგეთის მთავრობაზე ამერიკის ზეგავლენის საშუალებად. ბაო დაი თავის კომუნიკეში პროტესტს აცხადებს იმის წინააღმდეგ, რომ რაიმე საზავო მოლაპარაკება გაიმართოს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებთან ან სახელმწიფოებთან, „რომლებიც მტრულად ეკიდებიან" ბაო დაის რეჟიმს. გაზეთი „მონდი" დღეს გამოთქვამს აზრს, რომ „ბაო დაი დალესის პოზიციას ადგას". გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ვიეტნამელ ხალხს სრულიად არა სურს, რომ მისი ქვეყანა „მეორე კორეად გადაიქცეს საერთაშორისო ომის შედეგად" და რომ იგი „ერთსულოვნად მოითხოვს საომარი მოქმედების შეწყვეტას".

ხელოვნების მუშაკთა მძიმე მდგომარეობა ინგლისში

ლონდონი, 27 აპრილი. (საკდესი). გამოვიდა რა ინგლისელ მსახიობთა პროფკავშირის კონფერენციაზე, ლონდონის თეატრის „ნიუ ტორჩის" ყოფილმა დირექტორმა და მფლობელმა რიჩარდ მორისმა აღნიშნა ინგლისის თეატრისა და მისი მუშაკების მძიმე ფინანსური მდგომარეობა. მან თქვა, რომ „ასობით მსახიობი იძულებულია ყოველწლიურად მიატოვოს თავისი პროფესია" და რომ უმუშევრობა მსახიობთა შორის ისეთ სერიოზულ ოდენობას აღწევს, რომ „მსახიობები ჭურჭელს რეცხავენ რესტორანებში" ან ცხოვრობენ უმუშევრობის მეტად უმნიშვნელო დახმარებით.

მეორე ორატორმა ფრენკ კროუშოუმ მოითხოვა გაუქმდეს გადასახადი სანახაობრივ საწარმოებზე. „ჩვენ უნდა შევეგუოთ ის ფაქტი, — თქვა მან, — რომ დრამატული და მუსიკალური ხელოვნება კვდება".

ჩინელი ხალხი ძმურ დახმარებას უწევს კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას

პეკინი, 27 აპრილი. (საკდესი). ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა მუშები დიდი ენთუზიაზმით ასრულებენ დაკვეთებს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისათვის.

როგორც პეკინის რადიო იუწყება, სიანტანის ელექტრომოწყობილობის ქარხნის მუშებმა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საწარმოებისათვის დაამზადეს ელექტრომოტორების, დიდი სიმძლავრის ტრანსფორმატორებისა და განმანაწილებელი ფარების პირველი პარტია, ასრულებდნენ რა ამ დაკვეთას, მუშებმა ვალდებულება იკისრეს ვადამდე გაენაღდებინათ დავალება და გამოეშვათ საუკეთესო ხარისხის პროდუქცია. თავიანთი ვალდებულება მუშებმა შეასრულეს.

სიჩუიანის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშები დიდი აღმავლობით არემონტებენ კორეიდან მიღებულ სამგზავრო და სატვირთო ვაგონებს, რომლებიც ომის დროს დაზიანდა. პირველი პარტია—28 სატვირთო ვაგონი უკვე გაიგზავნა კორეაში. მთავრდება პირველი ცხრა სამგზავრო ვაგონის შეკეთება. შემკეთებელი მუშები სისტემატურად გადამეტებით ასრულებენ ვაგონების შეკეთების გეგმებს და აღწევენ მუშაობის მაღალ ხარისხს.

საბჭოთა პავილიონის წარმატება საერთაშორისო ბაზრობაზე ლიონში

ლიონი, 26 აპრილი. (საკდესი). მესამე დღეა, რაც ლიონში გაიხსნა 36-ე საერთაშორისო ბაზრობა. 2 კილომეტრამდე სიგრძის ტერიტორიაზე განლაგებულია პავილიონები, რომლებშიც უჩვენებენ ევროპისა და ამერიკის 20 ქვეყნის 6 ათასი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ფირმისა და ორგანიზაციის პროდუქციას.

სსრ კავშირის პავილიონი, რომელშიც გამოფენილია მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ბევრი დარგის პროდუქცია, საყოველთაო ყურადღებას იპყრობს. საბჭოთა კავშირის ნაწარმის სანახავად მოდიან ლიონის ათეულათასობით მცხოვრებნი, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების საქმიანი წრეების წარმომადგენლები.

დიდი წარმატება აქვს საბჭოთა ჩარხებსა და მანქანებს, აგრეთვე ბეწვეულსა და ბეწვეულის ნაწარმს, შინამრეწველურ-მხატვრულ ნაკეთობებს, ოპტიკურ ხელსაწყოებს, წიგნებს, მუსიკალურ ინსტრუმენტებს, ფაიფურის ნაკეთობებს და სხვ.

შთაბეჭდილების წიგნებში უკვე არის ათასზე მეტი ჩანაწერი, რომლებშიც მნახველნი მაღალ შეფასებას აძლევენ ყოველივე იმას, რაც საბჭოთა პავილიონში ნახეს. ისინი გამოთქვამენ რწმენას, რომ ეს ბაზრობა ხელს შეუწყობს საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ურთიერთობის გაფართოებას და ამ ორი ქვეყნის მეგობრობის განმტკიცებას.

გუშინ ბაზრობა ოფიციალურად გაიხსნა. გახსნას დაესწრნენ ეროვნული კრების საპატიო თავმჯდომარე და ლიონის მერი ედუარდ ერიო, ვაჭრობის საკითხთა სტატს-მდივანი ბუადე, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი საფრანგეთში ვინოგრადოვი და სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი საფრანგეთში ოსიპოვი. ვაჭრობის საკითხთა სტატს-მდივანმა ბუადემ, რონის დეპარტამენტის პრეფექტმა მასნემ, კარდინალმა ჟერლიემ, აგრეთვე ეროვნული კრების ბევრმა დეპუტატმა და რესპუბლიკის საბჭოს წევრებმა დაათვალიერეს საბჭოთა პავილიონი.

გუშინ ლიონის მუნიციპალიტეტში გაიმართა ბანკეტი ბაზრობის მონაწილეთა პატივსაცემად. ბანკეტზე გამოსულმა ედუარდ ერიომ და ბუადემ ხაზგასმით აღნიშნეს ლიონის ბაზრობაში სსრ კავშირის მონაწილეობის მნიშვნელობა და მაღალი ხარისხი ექსპონატებისა, რომლებიც ასახავენ საბჭოთა სახალხო მეურნეობის განვითარებას. მათ ისურვეს საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ეკონომიური ურთიერთობის განმტკიცება.

მოსკოვის ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბერიოზკა" ლონდონს ჩავიდა

ლონდონი, 27 აპრილი. (საკდესი). გუშინ ლონდონს ჩამოვიდა მოსკოვის ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბერიოზკა".

საბჭოთა მსახიობებს აეროდრომზე შეხვდნენ საბჭოთა საელჩოს წარმომადგენლები და ინგლის-საბჭოთა მეგობრობის საზოგადოების წარმომადგენლები საზოგადოების ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის პლეტს-მილსის მეთაურობით.

ანსამბლი რამდენიმე კონცერტს გამართავს ლონდონში. პირველი კონცერტი გაიმართება 28 აპრილს „სტოლის" თეატრში.

ავღანეთში აჩვენებენ საბჭოთა ფილმებს

ქაბული, 27 აპრილი. (საკდესი). ავღანეთში წარმატებით აჩვენებენ საბჭოთა ფილმებს: „ალექსანდრე მატროსოვს", „რუსული ბალეტის ოსტატებს", „მშვენიერ ვასილისას".

ამას წინათ აქ წარმატებით აჩვენებდნენ ფილმებს „რიმსკი-კორსაკოვს", „აკადემიკოს ივანე პავლოვს" და „მიჩურინს".

„კომედი ფრანსეზის" მთავარი დირექტორის განცხადება

პარიზი, 26 აპრილი. (საკდესი). საბჭოთა კავშირიდან პარიზს დაბრუნდა „კომედი ფრანსეზის" თეატრის მთავარი დირექტორი პიერ დეკავი. პარიზში ჩამოსვლისას დეკავმა გააკეთა განცხადება, რომელშიც კმაყოფილება გამოთქვა ფრანგ მსახიობთა გამოსვლებით საბჭოთა მაყურებლების წინაშე და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ფრანგ მსახიობთა წარმატება საშუალებას აძლევს მათ სსრ კავშირში ახალი გამგზავრების იმედი იქონიონ.

დეკავმა მადლობა გადაუხადა საბჭოთა თეატრების ხელმძღვანელებს და სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს გულთბილი მიღებისათვის. „ყველაფერი გაკეთდა იმისათვის, — თქვა მან, — რომ შეგვემსუბუქებინათ ჩვენი ამოცანა. მოქმედების სრულ თავისუფლებას, რომელიც მე მომენიჭა, თან ახლდა განსაკუთრებული თავაზიანობა".

თბილისი

ქალაქის ქრონიკა

თბილისის ორჯონიკიძის რაიონის № 1 საბავშვო ბაღში. სურათზე: აღმზრდელი ნ. ფარცხალაძე საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს ასწავლის ხის დარგვას.

ფოტო შ. გოქაძისა.

შექსპირის სონეტების თარგმანის განხილვა

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მთარგმნელთა სექციამ ამ დღეებში განიხილა შექსპირის სონეტების თარგმანი ქართულ ენაზე, შესრულებული გივი გაჩეჩილაძის მიერ.

მოხსენება თარგმანის შესახებ გააკეთა ოთარ ჩხეიძემ. განხილვაში მონაწილეობა მიიღეს გ. ქიქოძემ, ვ. გაბესკირიამ, დ. ლაშქარაძემ, ვ. ჭელიძემ, ს. ჩიქოვანმა, ვ. მაჟავარიანმა, ც. თოფურიძემ, შ. აფხაიძემ და სხვებმა.

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ გივი გაჩეჩილაძის მიერ თარგმნილი სონეტების უმრავლესობა კარგად არის შესრულებული. ამასთან მთარგმნელს მიუთითეს, რომ საჭიროა ზოგიერთი სონეტის ცალკეული ფრაზების დახვეწა.

დასასრულ გ. გაჩეჩილაძემ წაიკითხა შექსპირის რამდენიმე სონეტის თარგმანი.

შემოქმედებითი საღამო

საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ და ხელოვნების მუშაკთა სახლის გამგეობამ გამართეს ჭიათურის აკ. წერეთლის სახელობის თეატრის მსახიობების, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტების მიხეილ ვაშაძის და გრიგოლ ტყაბლაძის შემოქმედებითი საღამო.

საღამოზე მ. ვაშაძის და გ. ტყაბლაძის შემოქმედების შესახებ მოხსენებები წაიკითხეს თეატრმცოდნე ე. დავითაიამ და მ. გოგოლაშვილმა. სიტყვები წარმოთქვეს რესპუბლიკის სახალხო არტისტმა პ. ფრანგიშვილმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტებმა, სტალინური პრემიის ლაურეატებმა ალ. წუწუნავამ და პ. კობახიძემ, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწეებმა პროფესორმა აკ. ფალავამ და გ. ბუხნიკაშვილმა, რეჟისორმა მ. გიჟიმყრელმა, დრამატურგმა გ. გოგიჩაიშვილმა, დ. ჩხეიძემ.

მ. ვაშაძეს და გ. ტყაბლაძეს ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის გადაეცათ საქართველოს კულტურის მუშაკთა რესპუბლიკური კომიტეტის საპატიო სიგელები.

მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილების საღამო

თბილისის მასწავლებელთა სახლში გაიმართა ქართული ენისა და ლიტერატურის მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილების გაზიარების საღამო.

ქართულ ენაში წარუმატებლობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე მოხსენება გააკეთა თბილისის ვაკეთა 1-ლი საშუალო სკოლის მასწავლებელმა ნ. ბლადაშვილმა, მეხუთე კლასში რიცხვითი სახელის სწავლების მეთოდები გააშუქა მუშა ახალგაზრდობის მე-11 საშუალო სკოლის მასწავლებელმა პ. ლოგუამ, X-XI კლასებში ლირიკული ლექსების სწავლება — საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებულმა მასწავლებელმა ბ. მჭედლიძემ, ხოლო მეექვსე კლასში პერსონაჟის დახასიათების საკითხი — ვაკეთა მე-2 საშუალო სკოლის მასწავლებელმა გ. აბაშიძემ.

მასწავლებლებმა ნახეს მეცნიერულ-პოპულარული კინოსურათი „სიცოცხლის სათავეებთან".

საკონდიტრო ნაწარმი დღესასწაულისათვის

„საქკონდიტერის" ფაბრიკებმა დღესასწაულისათვის გააფართოეს მაღალხარისხოვანი საკონდიტრო ნაწარმის გამოშვება.

თბილისის 1-ლი საკონდიტრო ფაბრიკა ფერადი და თუნუქის კოლოფებით უშვებს მაღალხარისხოვან მონპასიეს, შვიდი სახის საბავშვო ჩანთებს შეხვეული ნაკრები კარამელით. შოკოლადის ფაბრიკამ დაამზადა სხვადასხვა სახის ფიგურული შოკოლადი მხატვრულ კოლოფებში „გორი", „ტარიელი", „გაგრა", „სოხუმი", „თბილისი", „ქობულეთი", ირისი „გასართობი" და „ოქროს გასაღები", მარმალადი, 7 სახის შოკოლადის კანფეტი.

მეორე და მესამე საკონდიტრო ფაბრიკები ამზადებენ ბისკვიტებს კოლოფებით, სხვადასხვა სახის ტორტს, კექსს და აღმოსავლურ ტკბილეულს.

სადღესასწაულოდ ფართო ასორტიმენტი აქვთ „გლავსახარტორგის" № 1 და 2 საფირმო მაღაზიებს რუსთაველისა და პლეხანოვის პროსპექტებზე. მათ მიღებული აქვთ მოსკოვის, ლენინგრადის, რიგისა და ლვოვის საკონდიტრო ფაბრიკებიდან მაღალხარისხოვანი პროდუქცია — ვანილის შოკოლადი, შოკოლადის „ბატონი", კანფეტი „ოქროს შემოდგომა", „ჩიო-ჩიო-სან", „ყინულმჭრელი", „ოქროს თევზი", „კიბოს ყელი", ფორთოხლისა და ლიმონის მარმალადი, კარამელი „ბატის ფეხი", სხვადასხვა სახის ნამცხვარი. მიღებულია აგრეთვე კარტოფილის ფქვილი.

ტრადიციული სპარტაკიადა

დაიწყო თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს სპორტსმენთა მესამე ტრადიციული სპარტაკიადა, რომელშიც მონაწილეობას ღებულობს 800-მდე კაცი — წარმოების მოწინავე მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები. პროგრამაში შედის სპორტის 8 სახეობა.

პირველ დღეს, 25 აპრილს, გაიმართა მონაწილეთა პარადი, აღმართეს ალამი, ჩატარდა კალენდარული შეხვედრები კალათბურთში, შაშში, მაგიდის ჩოგბურთში.

რედაქტორის მოადგილე რ. ჟურციკიძე.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

28 აპრილს	ზ. ფალიაშვილი — აბესალომ და ეთერი
30 აპრილს	დ. თორაძე — გორდა (ვ. ჭაბუკიანის მონაწილეობით).

(დასაწყისი საღამოს 8 საათზე)

თბილისის სახელმწიფო ცირკი

28, 29, 30 აპრილს, 1, 2 მაისს

სეზონის დახურვა

მოსკოვის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო ცირკის ხუმარას

კ ა რ ა ნ დ ა შ ი ს

და ცირკის მსახიობების მთელი შემადგენლობის

უკანასკნელი გამოსათხოვარი გასტროლები

დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ.

კვირას, 2 მაისს

დღის ორი საბავშვო წარმოდგენა

დასაწყისი I—12 ს., II—3 ს.

ბილეთები იყიდება სახცირკის სალაროებში და რუსთაველის პროსპ. № 1, 24, პლეხანოვის პროსპ. № 97, ჩელუსკინელების ქ. № 31.

მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე.

აკ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილება აცხადებს მიღებას 1954-55 სასწ. წლისათვის რუსული ენისა და ლიტერატურის, ქართული ენისა და ლიტერატურის, ისტორიის, ბუნებისმეტყველების, გეოგრაფიის და ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტებზე.

დაუსწრებელ განყოფილებაზე მიიღებიან უმაღლესი განათლების არმქონე V-XI კლასების მასწავლებლები. განცხადებები მიიღება 15 აპრილიდან 31 მაისამდე.

მსურველებმა უნდა წარმოადგინონ: განცხადება, ატესტატი (დედანი), ავტობიოგრაფია, სამი ფოტოსურათი (ზომით 3X4 სმ), ცნობა სამსახურის შესახებ (გაცემული განათლების განყოფილების მიერ), ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

მისაღები გამოცდები იწარმოებს 15 ივნისიდან 25 ივნისამდე. შემსვლელნი აბარებენ გამოცდებს — რუსული ენისა და ლიტერატურის, ქართული ენისა და ლიტერატურის, ისტორიის და გეოგრაფიის ფაკულტეტებზე: რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი), ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი), სსრკ ხალხთა ისტორიაში და გეოგრაფიაში. ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე: რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი), ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი), ფიზიკაში, მათემატიკასა და ქიმიაში. ბუნებისმეტყველების ფაკულტეტზე: რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი), ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი), ფიზიკასა და ქიმიაში.

განყოფილების ქართული ენისა და ლიტერატურის და ისტორიის ფაკულტეტის მესამე კურსზე, ბუნებისმეტყველების ფაკულტეტის მეორე კურსზე უგამოცდოდ მიიღებიან ამჟამად მომუშავე მასწავლებლები, რომლებსაც დამთავრებული აქვთ სამასწავლებლო ინსტიტუტი. მათი განცხადებები მიიღება 15 მაისამდე. მსურველებმა უნდა წარმოადგინონ: განცხადება, დიპლომი და მისი დანართი (დედანი), ავტობიოგრაფია, სამი ფოტოსურათი, ცნობა სამსახურის შესახებ (გაცემული განათლების განყოფილების მიერ).

დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტთათვის ლექციები და სასწავლო-საგამოცდო სესია იწარმოებს ა. წ. 20 ივნისიდან 31 ივლისამდე.

სწავლება, გარდა რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტისა, მიმდინარეობს ქართულ ენაზე.

მისამართი: ქ. ქუთაისი, კიროვის ქ. № 55.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ფილოსოფიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1954 წ. 12 მაისს დღის 2 საათზე № 93 აუდიტორიაში (უნივერსიტეტის ქ. № 1) ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **გური პორფილეს-ძე ასათიანი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„სოციალისტური ჰუმანიზმის შესახებ".**

ოფიციალური ოპონენტები: მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი კ. ბაქრაძე და ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი **შ. ბიწაძე.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

დღეს თბილისის თეატრებში

(სპექტაკლების დასაწყისი 8 საათზე)

რუსთაველის სახელობის — სამშობლო, **მარჯანიშვილის სახელობის** — სასტუმროს დიასახლისი, **გრიბოედოვის სახელობის** — გვარის დაუსახელებლად, **სომხური დრამის** — საცდელი მინდორი, **მუსიკალური კომედიის** — არშინ მალ-ალან, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ორი სპეცეალისტი (აბონემენტი № 33, 10 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — ცხოვრების ფურცელი (6 ს.).

მოქალაქე ივანე ივანეს-ძე ტროციკიმ, მცხოვრებმა ლომაურის ქ. № 1, აღძრა საქმე ენგურის ქ. № 4 მცხოვრებ ელიზა შალვას ასულ **გურამიშვილთან განქორწინების შესახებ.** საქმეს განიხილავს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მე-3 უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე ქეთევან ნიკოლოზის ასულმა ქანდარელმა, მცხოვრებმა ჩერნიშევსკის ქ. № 10, აღძრა საქმე ტიკის შესახვევი № 6 მცხოვრებ **მოქალაქე გიორგი ნიკოლოზის-ძე ქანდარელთან განქორწინების შესახებ.** საქმეს განიხილავს თბილისის მოლოტოვის რაიონის მესამე უბნის სახალხო სასამართლო.

საქვაჭრობის თანამშრომლები იუწყებიან საქვაჭრობის ტყიბულის განყოფილების მმართველის **დავით იოსების-ძე რობაქიძის** გარდაცვალებას.

და ნატრო, დისწულები გრიშა მეუღლით ნინოთი, შვილით ნუგზარით და კატუშა შატბერაშვილები, სიძე გრიშა ჯაფარიძე იუწყებიან **კონდრატი დიმიტრის-ძე მაღრაძის** გარდაცვალებას.

საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირის კოლექტივი იუწყება მხატვარ **ალექსანდრე ზაქარიას-ძე ნაცვლიშვილის** გარდაცვალებას.

ქ. თბილისის ქალთა მე-12 საშუალო სკოლის დირექცია და თანამშრომლები იუწყებიან თანამშრომელ **სიმონ თარხანის-ძე ჩხიკვიშვილის** გარდაცვალებას.

შვილები ნესტორ, ილია, ვერა, დუშა, ლიდა გოშუები, რძლები კუკუჩია, ტატიანა, სიძეები ა. კობახიძე, ვ. ჯიქია, დ. ჭანტურია ოჯახებით იუწყებიან **პელაგია ზორყანის ასულ გოშუას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 4-V ქ. ზუგდიდში. გამოსვენება კომკავშირის ქ. № 31.

მეუღლე მედეა, შვილი ზურაბ, ცოლისდა ციალა დიდებულიძე იუწყებიან **თეიმურაზ ალექსანდრეს-ძე ფადავას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 28-IV, 8 ს. გამოსვენება 29-IV, 6 ს. პლეხანოვის პროსპ. № 144.

შვილები პისტი, ალექსანდრე, ვახტანგ ჩხაიძეები, სიძე დომენტი, შვილიშვილი ციალა ჯაყელები, მაზლიშვილები გრიშა, აპოლონ ოჯახებით და ეტიხი ჩხაიძეები იუწყებიან **ელისაბედ ნიკოლოზის ასულ ჩხაიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 29-IV ქვედა აქეთში (ლანჩხუთის რ.).

შვილი დოდო ხატისკაცი, სიძე ვახტანგ წერეთელი, შვილიშვილები მანანა, შალვა წერეთლები იუწყებიან **ნინო ივანეს ასულ ხატისკაცის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 28-IV, 8 ს. გამოსვენება 29-IV, 6 ს. ქლუხორის ქ. № 4.

მეუღლე ეკატერინე, შვილები ელენე, თინა, გივი ციციშვილები, სიძე შალვა ბულია, შვილიშვილები ია, დალი, ირაკლი, ზაზა, ზურაბ იუწყებიან **გრიგოლ ირაკლის-ძე ციციშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 28-IV, 8 ს. გამოსვენება 29-IV, 6 ს. ბინიდან, ლენინის ქ. № 13.

მეუღლე მართო, შვილები ნიკო, სირან, სათო, ეთერ, ბაბულა, მარო, ცოლისძმა მიხეილ, ცოლისდები თამარ, თინა, ელენე ფეიქრიშვილები ოჯახებით იუწყებიან **დავით ნიკოლოზის-ძე ლონიაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 28-IV ყვარელში.

შვილები მიშა, ლეო, ციალა, რძლები თამარ, ელენე, შვილიშვილები ლალი, გია, მაზლი ფილიმონ, ნუცა, ნადეჟდა გიგიტაშვილები იუწყებიან **ნატა გიორგის ასულ გიგიტაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 29-IV, 5 ს. ს. ქვიშხეთში.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეებისა — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, ხელმძღვანელი — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტისა და პრესის მიმოხილვის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურის და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტბიუროს — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-51-81, გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის დირექტორის—3-65-41, სტამბის დირექტორის—3-77-70.

უე 04001 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.